დანართი No. 3

NATIONAL CENTER FOR
EDUCATIONAL QUALITY
ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სკოლამდელი განათლება, VI დონე

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 2026 წლის 19 მაისი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 2026 წლის 25 ივნისი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205224700
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	მილან პოლი, მასარიკის უნივერსიტეტი, ჩეხეთის რესპუბლიკა
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ირმა მესირიძე, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, შპს, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	მაია ჩქოტუა, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თამთა ცხოვრებაძე, ვებსტერის უნივერსიტეტი ინკ.-ის ფილიალს საქართველოში
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ანა მიხელიძე, შპს კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ქართულად)	სკოლამდელი განათლება
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ინგლისურად)	Preschool Education
უმაღლესი განათლების საფეხური/პროგრამა	საბაკალავრო
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	სკოლამდელი განათლების ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0112 სკოლამდელი განათლების მასწავლებლის მომზადება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3]	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	195
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი
პროგრამაზე დაშვების დამატებითი მოთხოვნები (სამხატვრო- შემოქმედებითი და/ან სპორტული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, შემოქმედებითი ტურის/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაში დაშვების/პროგრამის განხორციელების სპეციფიკური მოთხოვნები.)	არ ეხება

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

3 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა	

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

პროგრამა წარმოდგენილია, როგორც ახალი პროგრამა, თუმცა სკოლამდელი განათლების მიმართულებით პროგრამების განხორციელების ტრადიცია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში (სსუ) 1934 წლიდან არსებობს. მიმდინარე პროგრამა მომზადდა დაწესებულების ამ ტრადიციისა და გამოცდილების გათვალისწინებით, ასევე უნივერსიტეტის პოლონელ პარტნიორებთან თანამშრომლობით. პროგრამის შემუშავების პროცესში ასევე გამოყენებული იქნა საგანმანათლებლო განვითარების ხასიათის მქონე რამდენიმე საერთაშორისო პროექტის მონაცემიც. პროგრამა პირველად მომზადდა 2020 წელს ახალი სტანდარტების შესაბამისად, თუმცა სკოლამდელი განათლების დარგობრივი მახასიათებლების ცვლილების გამო პროგრამის ამოქმედება დროებით გადაიდო. პროგრამა საბოლოოდ მომზადდა დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცების შემდეგ.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ვიზიტის დაწყებამდე, 2026 წლის 15 მაისს, ონლაინ ფორმატში გაიმართა ექსპერტთა ჯგუფისა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (NCEQE) კოორდინატორის მოსამზადებელი შეხვედრა. ეს დაეხმარა ექსპერტთა ჯგუფს სამუშაოს შესაბამისად დაგეგმვასა და ორგანიზებაში.

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 19 მაისს ჰიბრიდულ რეჟიმში ჯგუფის თავმჯდომარე ონლაინ რეჟიმში იმყოფებოდა, ხოლო ჯგუფის ყველა სხვა წევრი ფიზიკურად ესწრებოდა განხილვას. ექსპერტთა ჯგუფს ვიზიტამდე მიეწოდა საკმარისი მტკიცებულებები, ხოლო ჯგუფის მიერ მოთხოვნილი ზოგიერთი დამატებითი დოკუმენტაციაც დროულად იქნა წარდგენილი. ვიზიტის დღის წესრიგმა ექსპერტთა ჯგუფს საშუალება მისცა, შეხვედროდა და გასაუბრებოდა პროგრამასთან დაკავშირებულ ყველა ძირითად დაინტერესებულ მხარეს, როგორც სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ჯგუფს ასევე, საშუალება ჰქონდა გაცნობოდა უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურას. ყოველივე ამან ექსპერტთა ჯგუფს საშუალება მისცა, პროგრამის შესახებ მკაფიო და სრულყოფილი წარმოდგენა შეექმნა და მოემზადებინა შეფასების ანგარიში.

- **საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

- **რეკომენდაციები**

1. რეკომენდებულია, პერსონალს მიეწოდოს საკმარისი ინფორმაცია, თუ როგორ უწყობს ხელს კურსის დონის სწავლის შედეგები პროგრამის დონის სწავლის შედეგების მიღწევას. (კომპონენტი 1.3.)

2. რეკომენდებულია, უზრუნველყოფილ იქნეს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის სათანადო ჩართულობა სწავლის შედეგების სისტემური შესაბამისობის და შეფასების პროცესში. (კომპონენტი 1.3.)

3. რეკომენდებულია, ოფიციალურად მოგვარდეს პრაქტიკულ კომპონენტთან დაკავშირებული ხარვეზი. ამისათვის შესაძლებელია განხორციელდეს პროგრამის რესტრუქტურიზაცია, რათა იგი შეესაბამებოდეს სკოლამდელი განათლების დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულ მინიმუმ 40 ECTS კრედიტს, ან მოთხოვნილ იქნას ოფიციალური განმარტება შესაბამისი ეროვნული უფლებამოსილი ორგანოსგან იმის თაობაზე, ვრცელდება თუ არა აღნიშნული მოთხოვნა იმ პროგრამებზე, რომლებსაც შემცირებული აქვთ კრედიტების საერთო რაოდენობა. საკითხის საბოლოო გადაჭრამდე აღნიშნული ხარვეზი უნდა ჩაითვალოს მისი აღმოფხვრის აუცილებელ პირობად. (კომპონენტი 1. 4)

4. რეკომენდებულია, გადაიხედოს ინგლისური ენის ყველა იმ სასწავლო კურსის სილაბუსი, რომელიც ერთი სემესტრის განმავლობაში ფარავს CEFR-ის ორ დონეს, სწავლის შედეგების, შეფასების კრიტერიუმებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების ამსახველი დოკუმენტაციის საფუძველზე, მკაფიოდ უნდა იქნას დასაბუთებული, რომ განსაზღვრული სასწავლო დატვირთვა საკმარისია დაგეგმილი დონის სრულად მისაღწევად და რომ კურსის აღნიშნული სტრუქტურა ეფუძნება მეორე ენის ათვისების სფეროში აღიარებულ კვლევებს ან CEFR-ის განხორციელების სახელმძღვანელო პრინციპებს. (კომპონენტი 1. 5)

5. რეკომენდებულია, განახლდეს და ერთიანი ფორმით გაფორმდეს მემორანდუმები ყველა პარტნიორ საბავშვო ბაღთან, რათა მკაფიოდ განისაზღვროს პრაქტიკაში ჩართული სტუდენტების რაოდენობა, პრაქტიკის მიზნები, მოსალოდნელი შედეგები და მისი ხანგრძლივობა. რეკომენდებულია, შემუშავდეს ერთიანი სტანდარტული ფორმატი (შაბლონი) ყველა მემორანდუმისთვის. (კომპონენტი 2.2.)

6. რეკომენდებულია პროგრამისთვის სპეციფიკური სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა და პროგრამის დონეზე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების

გაძლიერება პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის სისტემური შეფასების, პროგრამის ეფექტიანობის ანალიზისა და შეფასების შედეგების საფუძველზე შესაბამისი ცვლილებების განხორციელების გზით, რაც პროგრამის უწყვეტ გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს. (5.3)

- **რჩევები**

1. სასურველია, ადამიანური რესურსების განვითარების სტრატეგიის პრიორიტეტულ მიზნად განისაზღვროს დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა. (კომპონენტი 4.1)

2. სასურველია, გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები, რათა აკადემიური პერსონალი სათანადოდ იყოს ინფორმირებული მათთვის კანონმდებლობით განსაზღვრული ანაზღაურებადი სამეცნიერო შვებულების უფლებისა და მისი გამოყენების პროცედურების შესახებ. (კომპონენტი 4.3)

3. სასურველია, უზრუნველყოფილ იქნას გარე წვდომა საერთაშორისო ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებზე (მაგ., SCOPUS, Thomson Reuters და EverGreen), რათა ყველა სტუდენტსა და აკადემიურ პერსონალს თანაბრად მიუწვდებოდეს ხელი აღნიშნულ რესურსებზე. (კომპონენტი 4.4)

4. სასურველია დაწესებულებამ სტუდენტებისა და პერსონალის ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ადაპტაციისა და ორიენტაციის პროცესი ფორმალურად განსაზღვროს სტრუქტურირებული საწყისი მექანიზმის შემუშავების გზით, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ხარისხის კულტურის უკეთ გააზრებას, შეფასების პროცესებში დაინტერესებული მხარეების როლის შესახებ ცნობიერების ამაღლებასა და ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების პროცესებში უფრო სისტემურ ჩართულობას.(კომპონენტი 5.1)

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[4]**

    - არ არის მითითებული

- **ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე**

ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული მოსაზრებები და საბოლოო ანგარიშში ერთი მცირე ცვლილება შეიტანა. კერძოდ, 4.4 სტანდარტის ფარგლებში მონაცემთა ბაზებზე წვდომასთან დაკავშირებული რეკომენდაცია გადაკვალიფიცირდა რჩევად. დანარჩენი რეკომენდაციები და რჩევები უცვლელად დარჩა.

საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად, მაგალითად:

- პერსონალი და ნაშრომების ხელმძღვანელები - პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული და საერთაშორისო პერსონალი); დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის მონაცემები; აკადემიური/სამეცნიერო პერსონალისა და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა; აფილირებული და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა; მაგისტრანტების და ხელმძღვანელების თანაფარდობა; ხელმძღვანელების სამუშაო დატვირთვა;

პროგრამას ახორციელებს 29 თანამშრომელი, 20 აკადემიური პერსონალი და 9 მოწვეული პერსონალი, რომლებსაც აქვთ პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისი კვალიფიკაცია და გამოცდილება. აკადემიური პერსონალი შედგება 4 აფილირებული პროფესორის, 13 აფილირებული ასოცირებული პროფესორის, 2 აფილირებული ასისტენტ-პროფესორისა და 1 აფილირებული ასისტენტისგან. ამჟამად პროგრამის განხორციელებაში არ არის ჩართული არც ერთი სამეცნიერო ან საერთაშორისო აკადემიური პერსონალი. აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობაა 20:9-(დაახლოებით 2.2:1) და ყველა აკადემიურ პერსონალს აქვს აფილირებული სტატუსი (100%).

29 თანამშრომლიდან 9 აქვს დოქტორის ხარისხი დარგობრივი მიმართულებით. მოწვეულ პერსონალს შორის 5-ს აქვს დოქტორის ხარისხი, ხოლო 4 აღიარებული დარგის სპეციალისტია. სასურველია, ინსტიტუციამ განვითარების პრიორიტეტად დაისახოს განათლების ან სკოლამდელი განათლების დარგში დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალის, განსაკუთრებით პროფესორთა შემადგენლობის, გაზრდა.

პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

ვინაიდან პროგრამა პირველადი აკრედიტაციის მოპოვებას ცდილობს და მისი განხორციელება ჯერ არ დაწყებულა, ხელმძღვანელების კოეფიციენტებისა და ხელმძღვანელების სამუშაო დატვირთვის სქემების შესახებ მონაცემები ამ ეტაპზე არ ფიქსირდება. მონაცემები გაზომვადი გახდება პირველი აკადემიური ციკლის დაწყების შემდეგ.

- სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები - პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში); საერთაშორისო ინდექსის მქონე რეცენზირებულ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობრივი მონაცემები; ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში პერსონალის მონაწილეობის მაჩვენებლები; სხვა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები;

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში პროგრამაში ჩართულმა პერსონალმა შექმნა 252 სამეცნიერო/კვლევითი ნაშრომი. მონაცემები ასე ნაწილდება:

- 104 სტატია გამოქვეყნდა ადგილობრივ (ქართულ) რეცენზირებად ჟურნალებში
- 34 ნაშრომი გამოქვეყნდა საერთაშორისო ჟურნალებში
- ადგილობრივ კონფერენციებზე წარდგენილია 51 პრეზენტაცია
- საერთაშორისო კონფერენციებზე წარდგენილია 63 პრეზენტაცია

საერთაშორისო და ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების თანაფარდობა შეადგენს დაახლოებით 1:3-ს, რაც მიუთითებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი სამეცნიერო აქტივობა ძლიერია, საერთაშორისო პუბლიკაციების მიმართულებით ასევე შეინიშნება მნიშვნელოვანი და მზარდი აქტივობა. საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა (63) მნიშვნელოვნად აღემატება ადგილობრივ კონფერენციებში მონაწილეობას (51), რაც მიუთითებს ადრეული და სკოლამდელი განათლების სფეროში გლობალურ აკადემიურ საზოგადოებასთან ჩართულობის პოზიტიურ ტენდენციაზე. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში დამატებითი სამეცნიერო/კვლევითი ინდიკატორები (მაგ., მონოგრაფიები, გრანტები, შემოქმედებითი პროექტები) არ არის დაფიქსირებული.

- აკადემიური პერსონალის გადინების მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში) (მაგ. პენსიაზე გასული, დაწესებულებიდან წასული, ახალი პერსონალის რაოდენობა და ა.შ.);

ხუთწლიანი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში პროგრამას შეუერთდა 6 ახალი აკადემიური თანამშრომელი, ხოლო 3- მა დატოვა, რის შედეგადაც პერსონალის ბრუნვის მაჩვენებელი შეადგენს დაახლოებით 14%-ს, ხოლო შენარჩუნების მაჩვენებელი — დაახლოებით 85%-ს. ეს მიუთითებს სტაბილურ და ძირითადად უწყვეტ აკადემიურ პერსონალზე, რაც ხელს უწყობს პროგრამის მდგრადობასა და სწავლის შედეგების

თანმიმდევრულ განხორციელებას. მოწვეული პერსონალის სურათიც ანალოგიურად სტაბილურია: პროგრამიდან წავიდა 1 თანამშრომელი, შემოემატა 5 ახალი თანამშრომელი, რის შედეგადაც ბრუნვის მაჩვენებელი დაბალია; საანგარიშო პერიოდში გაიზარდა მოწვეული პერსონალის რაოდენობა.

საერთო ჯამში, ბრუნვის მაჩვენებლები მიუთითებს პერსონალის მნიშვნელოვან სტაბილურობაზე, რაც ხელს უწყობს პროგრამის მდგრადობასა და სწავლის შედეგების თანმიმდევრულ განხორციელებას.

- ჩარიცხულ პირთა შესახებ მონაცემები (ბოლო 5 წლის განმავლობაში, მოქმედი პროგრამების შემთხვევაში); პროგრამაზე გამოცხადებული სტუდენტთა ადგილების რაოდენობა; სტუდენტთა პროგრესია სასწავლო წლების მიხედვით;

ვინაიდან პროგრამა პირველადი აკრედიტაციის მოლოდინშია და მისი განხორციელება ჯერ არ დაწყებულა, ამ ეტაპზე არ არის ხელმისაწვდომი მონაცემები ჩარიცხული სტუდენტების, სტუდენტთა პროგრესისა და აკადემიური წლების მიხედვით განაწილების შესახებ. პროგრამის მიერ განსაზღვრული მაქსიმალური მისაღები კონტინგენტი შეადგენს 30 სტუდენტს ყოველწლიურად.

- თვითშეფასების დანართში მოცემული სხვა რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, აკრედიტაციის პერიოდში მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოკლე მიმოხილვა, ასევე, წინა აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების ანალიზი.**

III. პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შეფასება
1	**1.1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
1.1	პროგრამის მიზნები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
1.2	პროგრამის სწავლის შედეგები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
1,3	1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
1.4.	საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
1,5	სასწავლო კურსი/საგანი	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
2.	**სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
2.1	პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
2.2	პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
2.3	სწავლება-სწავლის მეთოდები;	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
2.4	სტუდენტების შეფასება	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
3.	**სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
3.1	3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

3.2	მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა	**არ ეხება**
4	**სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
4.1	ადამიანური რესურსი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
4.2	4.2 მაგისტრანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	**არ ეხება**
4.3	4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
4.4	მატერიალური რესურსი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
4.5.	პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
5	**5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
5.1	შიდა ხარისხის შეფასება	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
5.2	გარე ხარისხის შეფასება	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
5,3	პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

სახელმძღვანელო პრინციპები და სტანდარტები (იხ. ბმული)

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები რჩევები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში/დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შეფასების თაობაზე

[შეფასების კრიტერიუმები]

განმარტებები:

რეკომენდაციები - წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

IV. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1 საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ- ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა. პროგრამის მიზნები ასევე, ასახავენ რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის სამი ძირითადი მიზანი ასეა ჩამოყალიბებული:

(1) მოამზადოს სპეციალისტი, რომელიც აღჭურვილია სკოლამდელი განათლების სფეროში პროფესიული საქმიანობისთვის საჭირო ინტერდისციპლინური თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული უნარებით; ფლობს ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვის განვითარების თავისებურებებს, შესაბამის განვითარების თეორიებს, ინკლუზიურ და ბავშვის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომებს; და აცნობიერებს ხარისხიანი ადრეული განათლებისა და ბავშვის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობას.”

(2) მოამზადოს სპეციალისტი, რომელიც გეგმავს, ახორციელებს და აფასებს ბავშვზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო პროცესს; ქმნის უსაფრთხო და განვითარების ხელშემწყობ გარემოს; აკვირდება და აფასებს ბავშვთა პროგრესს; და ეფექტურად თანამშრომლობს მშობლებთან, კოლეგებთან და ფართო საზოგადოებასთან.”

(3) მოამზადოს მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობის მქონე ბაკალავრი, რომელიც მოქმედებს კულტურული მრავალფეროვნების, ინკლუზიისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპების შესაბამისად; ბავშვთა უფლებების დაცვის პროცესში ითვალისწინებს კულტურულ და ენობრივ მრავალფეროვნებასა და სამართლებრივ

ჩარჩოს; და ახორციელებს პრაქტიკაზე დაფუძნებულ კვლევას პროფესიული განვითარებისა და გაუმჯობესების მიზნით." (თვითშეფასების ანგარიში, გვ. 7-8).

მიზნები ასახავს კურსდამთავრებულის პროფესიულ პროფილს, ხაზს უსვამს ინტერდისციპლინურ ხასიათს, თეორიისა და პრაქტიკის კავშირს, თანამედროვე მიდგომების სირთულეს და იმ კონტექსტს, რომელშიც სკოლამდელი განათლება ხორციელდება. ასევე, სწორად არის ხაზგასმული კურსდამთავრებულის სამოქალაქო პასუხისმგებლობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ პროგრამის მიზნები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია.

ასევე შეიძლება ითქვას, რომ პროგრამის მიზნები სათანადოდ ასახავს სკოლამდელი განათლების სფეროს სპეციფიკას, პროგრამის დონესა და საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსს.

პროგრამის მიზნები ასახავს იმ ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს, რომელთა განვითარებასაც პროგრამა კურსდამთავრებულებში ისახავს მიზნად; როგორც უკვე აღინიშნა, პროგრამის მიზნებში ასევე გათვალისწინებულია როგორც სფეროში, ისე საზოგადოებაში შეტანილი წვლილი.

პროგრამის მიზნები ასევე შეესაბამება სსუ-სა და განათლების ფაკულტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიას.

ინტერვიუების დროს დადასტურდა, რომ პროგრამა ცდილობს უპასუხოს შრომის ბაზრის არსებულ საჭიროებებსა და ტენდენციებს.

პროგრამის შემუშავებაში საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობის გათვალისწინებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ პროგრამა ასახავს სკოლამდელი განათლების სფეროში ინტერნაციონალიზაციის ძირითად მიმართულებებს.

ვინაიდან პროგრამა წარმოდგენილია როგორც ახალი და ჯერ არ არის აკრედიტებული, შესაბამისად პროგრამის მიზნების შესახებ ინფორმაცია ფართოდ საჯარო და ხელმისაწვდომი არ არის. თუმცა, როგორც ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, ისინი გაზიარებულია პროგრამის შემუშავებაში ჩართულ პირებს შორის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში.
- სკოლამდელი განათლების საგანმანათლებლო პროგრამა
- სსუ- ს მისია, მიზნები და სტრატეგია
- სსუ-ს ვებ-გვერდი
- ინტერვიუები

[რეკომენდაცები](#).

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	**შეფასება**
1.1 პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

➢ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/ და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საერთო ჯამში, პროგრამას ცხრა სწავლის შედეგი აქვს. მათგან ოთხი უკავშირდება ცოდნასა და გაცნობიერებას, სამი — უნარებს, ხოლო ორი — პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას. შესაძლებელია დავასკვნათ, რომ პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან. ისინი მოიცავენ შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიას.

ასევე, პროგრამის სწავლის შედეგები შეიძლება შეფასდეს როგორც მკაფიო, მიღწევადი და რეალისტური. მიზნები შესაბამისობაშია ბაკალავრის საფეხურის კვალიფიკაციასთან, სფეროს აღმწერებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციათან.

შეიძლება ითქვას, რომ ისინი ასევე შესაბამისობაშია დარგობრივ მახასიათებელთან.

სკოლამდელი განათლების პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება კურსდამთავრებულთა დასაქმების მოთხოვნებს და ასევე საშუალებას აძლევს კურსდამთავრებულებს განაგრძონ სწავლა განათლების მომდევნო საფეხურზე.

პროგრამის სწავლის შედეგები ასევე შეესაბამება სკოლამდელი განათლების სფეროს თავისებურებებსა და შრომის ბაზრის საჭიროებებს.

ინტერვიუების დროს დადასტურდა, რომ სწავლის შედეგების შემუშავების პროცესი თანამშრომლობითი იყო და მასში ჩართული იყვნენ პროგრამასთან დაკავშირებული ძირითადი დაინტერესებული მხარეები. დაინტერესებულ მხარეებს მიეწოდათ ინფორმაცია სწავლის შედეგების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში.
- სკოლამდელი განათლების პროგრამა
- ინტერვიუები

[რეკომენდაციები](#).

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	**შეფასება**
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები; პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ციკლი შედგება სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემების განსაზღვრისგან, შეგროვებისა და ანალიზისგან;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების დამკვიდრებული პრაქტიკა და იგულისხმება, რომ აღნიშნული პრაქტიკა გავრცელდება ახლად შექმნილ პროგრამაზეც „სკოლამდელი განათლება“. სწავლის შედეგების შეფასების გეგმა ითვალისწინებს სწავლის შედეგების აღწერას. სასწავლო კურსების ჩამონათვალი მოიცავს 14 კურსს (საგანს), რომლებიც დაკავშირებულია პროგრამის სწავლის შედეგებთან სამ დონეზე — გაცნობა, გაღრმავება და განმტკიცება, რაც შეიძლება ჩაითვალოს კურიკულუმის რუკად. სასწავლო კურსები (საგნები) მოიცავს თეორიულ საგნებს, პრაქტიკას ბაგა-ბაღებში და საბაკალავრო ნაშრომს.

სწავლის შედეგების შეფასების დრო და პერიოდულობა ასევე წარმოადგენს პროცესის ნაწილს და ძირითადად ხორციელდება ყოველწლიურად.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა აერთიანებს როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ მეთოდებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაშიც არსებობს გარკვეული სფეროები, რომლებიც გაუმჯობესებას საჭიროებს. როგორც აღნიშნულია ამ ანგარიშის 4.5 პუნქტში, რეკომენდებულია, უფრო ინტენსიურად გამოიყენოთ მკაფიოდ განსაზღვრული და გაზომვადი ინდიკატორები და კრიტერიუმზე დაფუძნებული მეთოდები პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისთვის.

სწავლის შედეგების შეფასება ასევე გამოიყენება შეფასების პროცესის გაუმჯობესებისთვის და საჭიროების შემთხვევაში შეიძლება განხორციელდეს სამიზნე ნიშნულების ხელახალი ანალიზი.

სსუ-ის დოკუმენტაციაში გარკვეულწილად ასახულია გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობა სწავლის შედეგების შეფასებაში, რაც ასევე დადასტურდა ინტერვიუების დროს.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალისთვის გათვალისწინებულია მხარდაჭერა ისეთი უნარების განვითარებაში, რომლებიც აუცილებელია სწავლის შედეგების შემუშავების, გაზომვისა და ანალიზისთვის. როგორც ახლა ირკვევა, პერსონალს ყოველთვის არ აქვს საკმარისი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ უწყობს ხელს კურსის დონის შედეგები პროგრამის დონის სწავლის შედეგების მიღწევას.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი გეგმავს დაინტერესებულ მხარეებს გააცნოს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი. ამ ეტაპზე პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ნაკლებად არის ჩართული სწავლის შედეგების სისტემური თანხვედრისა და შეფასების პროცესში. ამან შეიძლება ხელი შეუშალოს ერთგვაროვან გააზრებას, თუ როგორ უწყობს ხელს კურსის დონის სწავლის შედეგები პროგრამის დონის კომპეტენციების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში.
- სკოლამდელი განათლების საგანმანათლებლო პროგრამა
- პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი
- ინტერვიუები

  [რეკომენდაციები](#).

- რეკომენდებულია, პერსონალს მიეწოდოს საკმარისი ინფორმაცია, თუ როგორ უწყობს ხელს კურსის დონის შედეგები პროგრამის დონის სწავლის შედეგების მიღწევას.

- რეკომენდებულია, უზრუნველყოფილ იქნეს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის სათანადო ჩართულობა სწავლის შედეგების სისტემური შესაბამისობის და შეფასების პროცესში.

  რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- **არ არის მითითებული**

შეფასება

კომპონენტი	**შეფასება**

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.4. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განხორციელების მეთოდოლოგიის შესაბამისად.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის (SSU) სკოლამდელი განათლების საბაკალავრო პროგრამა შემუშავებულია დაწესებულებაში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, დიზაინისა და განვითარების დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეთოდოლოგია ითვალისწინებს მკაფიო პროცედურულ თანმიმდევრობას: პროგრამა მუშავდება აკადემიური პერსონალის მიერ, გადის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის განხილვას, მოწმდება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, განიხილება ფაკულტეტის საბჭოზე და საბოლოოდ მტკიცდება აკადემიური საბჭოს მიერ. მიმდინარე პროგრამა სსუ-ის აკადემიური საბჭოს მიერ 2026 წლის 13 თებერვალს დამტკიცდა (დადგენილება №05/01-342), რაც ადასტურებს მის შესაბამისობას დაწესებულებაში მოქმედ პროცედურებთან.

პროგრამის მოცულობა შეადგენს 195 ECTS კრედიტს და იგი მოიცავს ექვს სემესტრს. პროგრამა მოიცავს სამ ძირითად კომპონენტს: (I) საფაკულტეტო მოდული - 39 ECTS კრედიტი, რომელიც მოიცავს ზოგად და ტრანსფერულ კომპეტენციებს, მათ შორის ინგლისურ ენას, სახელმწიფო ენას და ციფრულ წიგნიერებას;(II) სავალდებულო და არჩევითი სპეციალიზაციის კურსები - 126 ECTS კრედიტის მოცულობით; და(III)

დარგობრივ პრაქტიკულ უნარებსა და კომპეტენციებზე ორიენტირებული მოდული 30 ECTS კრედიტის მოცულობით, რომელიც მოიცავს პრაქტიკის კვლევას (3 ECTS), ოთხ თანმიმდევრულ პედაგოგიურ პრაქტიკას საბავშვო ბაღში (21 ECTS) და საბაკალავრო ნაშრომს (6 ECTS). პროგრამის სტრუქტურა ლოგიკურად არის აგებული, სასწავლო კურსებს შორის მკაფიოდ არის განსაზღვრული წინაპირობები, ხოლო სემესტრული დატვირთვა პროპორციულად არის გადანაწილებული — სტანდარტულ სემესტრში 30 ECTS კრედიტი, ხოლო IV და V სემესტრებში 36 ECTS კრედიტი, რაც სპეციალიზაციისა და პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერებით არის განპირობებული.

პროგრამის შინაარსი შესაბამისობაშია პროგრამის სამ მიზანსა და ცხრა სწავლის შედეგთან, რომლებიც ცოდნასა და გაცნობიერებას, უნარებს, ასევე პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას. კურსის სწავლის შედეგების პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკა (დანართი 3) ასახავს კურიკულუმის ფარგლებში შედეგებზე ორიენტირებული სწავლის თანმიმდევრულ პროგრესიას გაცნობის, გაღრმავებისა და განმტკიცების ეტაპების მიხედვით. ძირითადი დარგობრივი კურსები (მაგ., სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიკის საფუძვლები, განვითარებისა და სწავლის თეორიები, ადრეული ინკლუზიური განათლება, ბავშვის განვითარება) თეორიულ საფუძველს იძლევა ადრეულ სემესტრებში, ხოლო შემდგომ სემესტრებში აქცენტი კეთდება პრაქტიკული და კვლევითი კომპეტენციების განვითარებაზე. მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სკოლამდელი განათლების ბაკალავრი (VI დონე) შეესაბამება პროგრამის შინაარსს და სწავლის შედეგებს.

პროგრამის პრაქტიკულ კომპონენტთან მიმართებით გამოვლინდა მნიშვნელოვანი ხარვეზი. სკოლამდელი განათლების დარგობრივ მახასიათებელში (2024) ცალსახად არის ნათქვამი, რომ სკოლამდელი განათლების უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკის/სტაჟირების კომპონენტი უნდა შეადგენდეს მინიმუმ 40 ECTS კრედიტს. მიმდინარე პროგრამაში პრაქტიკისა და პრაქტიკული კვლევის მოდულისთვის გამოყოფილია 30 ECTS კრედიტი (პრაქტიკის კვლევა — 3 ECTS; პედაგოგიური პრაქტიკა I–IV — 21 ECTS; საბაკალავრო ნაშრომი — 6 ECTS), მაშინ როდესაც დარგობრივი

მახასიათებლით განსაზღვრული მინიმალური მოთხოვნაა 40 ECTS კრედიტი. შესაბამისად, აღნიშნულ მოთხოვნა სავალდებულოზე 10 ECTS კრედიტით ნაკლებია.

ვიზიტის დროს პროგრამის ხელმძღვანელობამ დაადასტურა აღნიშნული შეუსაბამობა, თუმცა აღნიშნა, რომ დარგობრივი მახასიათებელი თავდაპირველად 240 ECTS კრედიტიანი საბაკალავრო პროგრამებისათვის შემუშავდა. ამასთან, საქართველოში უმაღლესი განათლების სისტემა ამჟამად რეფორმირების პროცესშია და საბაკალავრო პროგრამები 180 ან 195 ECTS კრედიტის მოცულობით ფუნქციონირებს, რის გამოც დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული 40 ECTS კრედიტის მოთხოვნის პროპორციული გამოყენება დისკუსიის საგანს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ არგუმენტს გარკვეული საფუძველი აქვს, იგი არ წარმოადგენს მოთხოვნასთან შეუსაბამობის გამამართლებელ ოფიციალურ საფუძველს, რადგან დარგობრივი მახასიათებელი კვლავაც სავალდებულო მარეგულირებელ დოკუმენტს წარმოადგენს და არ შეიცავს რაიმე პირდაპირ დათქმას, რომელიც პროგრამის შემცირებული მოცულობის შემთხვევაში პრაქტიკული კომპონენტის კრედიტების მოთხოვნის კორექტირებას ითვალისწინებს.

პროგრამამ აღნიშნული ხარვეზი ცალსახად და ოფიციალურად უნდა აღმოფხვრას. ამისათვის, დაწესებულებას ურჩევენ: (ა) გაზარდოს პრაქტიკული კომპონენტი მინიმუმ 40 ECTS კრედიტამდე პროგრამის რესტრუქტურიზაციის საშუალებით, ან (ბ) ან დაიწყოს ოფიციალური დიალოგი შესაბამისი ეროვნულ უფლებამოსილ ორგანოსთან იმის თაობაზე, ვრცელდება თუ არა აღნიშნული მოთხოვნა იმ პროგრამებზე, რომლებსაც შემცირებული აქვთ კრედიტების საერთო რაოდენობა. გარდამავალ პერიოდში, ექსპერტთა ჯგუფმა უნდა დააფიქსიროს ეს შეუსაბამობა, როგორც გამოსასწორებელი პირობა, ამასთან გაითვალისწინოს, რომ პროგრამის ხელმძღვანელობა აცნობიერებს საკითხს და ქვეყანაში მიმდინარე ფართო რეფორმის კონტექსტი მიიჩნიოს შემამსუბუქებელ ფაქტორად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსი
- ბაზრის კვლევა
- შიდა და გარე შეფასებები
- უსდ რეგულაცია
- ინტერვიუების შედეგები

:

- რეკომენდებულია, ოფიციალურად მოგვარდეს პრაქტიკულ კომპონენტთან დაკავშირებული ხარვეზი. ამისათვის შესაძლებელია განხორციელდეს პროგრამის რესტრუქტურიზაცია, რათა იგი შეესაბამებოდეს სკოლამდელი განათლების დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულ მინიმუმ 40 ECTS კრედიტს, ან მოითხოვოს ოფიციალური განმარტება შესაბამისი ეროვნული უფლებამოსილი ორგანოსგან იმის თაობაზე, ვრცელდება თუ არა აღნიშნული მოთხოვნა იმ პროგრამებზე, რომლებსაც შემცირებული აქვთ კრედიტების საერთო რაოდენობა. საკითხის საბოლოო გადაჭრამდე აღნიშნული ხარვეზი უნდა ჩაითვალოს მისი აღმოფხვრის აუცილებელ პირობად.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	**შეფასება**
3.2 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

➢ სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
Ø ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის სტრუქტურა მოიცავს სამ ძირითად ბლოკს. თითოეული ECTS კრედიტი შეესაბამება სტუდენტის 25-საათიან სამუშაო დატვირთვას, რომელიც მოიცავს როგორც საკონტაქტო საათებს (ლექციები, სემინარები, პრაქტიკა), ისე დამოუკიდებელ მუშაობას. სასწავლო კურსები სტანდარტულად მოიცავს 3 ან 6 ECTS კრედიტს, შესაბამისად 35 ან 65 საკონტაქტო საათს და 40 ან 85 სთ. დამოუკიდებელი მუშაობისთვის. აღნიშნული თანაფარდობა თანმიმდევრულად არის დაცული მთელ კურიკულუმში და შეესაბამება VI დონის პროგრამების მოთხოვნებს.

პრაქტიკის მოდული შეადგენს 30 ECTS კრედიტს და მოიცავს ბაგა-ბაღში პედაგოგიური პრაქტიკის ოთხ ეტაპს (3, 6, 6 და 6 ECTS III–VI სემესტრებში), პრაქტიკის კვლევას (3 ECTS) და საბაკალავრო ნაშრომს (6 ECTS).

სასწავლო კურსების ჩამონათვალის ანალიზი ცხადყოფს, რომ კრედიტების განაწილება ძირითადად შეესაბამება თითოეული კურსის სწავლის შედეგების სირთულესა და მოცულობას. საბაზისო და ინტეგრაციული კურსები (მაგ., სკოლამდელი პედაგოგიკის საფუძვლები — 6 ECTS; განვითარებისა და სწავლის თეორიები — 6 ECTS; წიგნიერება, აზროვნება და კომუნიკაცია ადრეულ განათლებაში — 6 ECTS; განათლების სოციოლოგია — 6 ECTS) შეესაბამება მისანიჭებელ კრედიტებს და უზრუნველყოფს თეორიული მასალის სიღრმისეულ შესწავლას.

ფოკუსირებული, პრაქტიკაზე ორიენტირებული კურსები (მაგ., „ხატვის სწავლების მეთოდიკა“ – 3 ECTS; „პირველადი დახმარება“ – 3 ECTS; „ადრეული ასაკის განათლების კურიკულუმი“ – 3 ECTS) შეადგენს 3 ECTS კრედიტს, რაც შეესაბამება მათ უფრო ვიწრო, უნარებზე ორიენტირებულ შინაარსსა და პრაქტიკულ ხასიათს. პედაგოგიური პრაქტიკის I ეტაპიდან (3 ECTS) პრაქტიკების II, III და IV ეტაპებზე (თითოეული 6 ECTS) გადასვლა ასახავს

სწავლის თანმიმდევრულად აგებულ (scaffolding) მოდელს, რაც შეესაბამება კურსის შედეგების რუკაში ასახულ I → P → M დონეებს.

პროგრამის წინაპირობების სისტემა ზოგადად კარგად არის სტრუქტურირებული. საბაზისო კურსი „სკოლამდელი პედაგოგიკის საფუძვლები“ (EDUC PE BA 005) წარმოადგენს ძირითად წინაპირობას სპეციალიზაციის კურსების უმრავლესობისთვის, ხოლო „განვითარებისა და სწავლების თეორიები“ (EDUC PE BA 007) რამდენიმე მეთოდოლოგიური და გამოყენებითი კურსისთვის წარმოადგენს შემდეგი ეტაპის (მეორე დონის) წინაპირობას. შედეგად ყალიბდება ორეტაპიანი, თანმიმდევრული საფუძველი.

საბაკალავრო პროგრამაში „აკადემიური წერა“ (EDUC PE BA 026) I სემესტრში ლოგიკურად უსწრებს კურსს „განათლების კვლევის მეთოდები“ (EDUC PE BA 027) რომელიც V სემესტრში ისწავლება და, თავის მხრივ, წარმოადგენს წინაპირობას VI სემესტრის კურსისთვის — „პრაქტიკის კვლევა ადრეულ განათლებაში“ (EDUC PE BA 045). ეს თანმიმდევრობა უზრუნველყოფს კვლევითი კომპეტენციების ეტაპობრივ და სისტემურ განვითარებას, რომელიც ლოგიკურად სრულდება საბაკალავრო ნაშრომით.

კურსების სწავლის შედეგების შესაბამისობა პროგრამის 9 სწავლის შედეგთან წარმოდგენილია სამდონიანი პროგრესიის გამოყენებით: გაცნობა (I), გაღრმავება (P) და განმტკიცება (M) -ცხადყოფს, რომ ყველა ცხრა სწავლის შედეგი სათანადოდ და ყოვლისმომცველად არის მოცული.

არჩევითი კურსების მოდული (36 კრედიტი) აფართოებს და აღრმავებს კონკრეტულ შედეგებს: მაგალითად, „ბავშვის უფლებები სკოლამდელ განათლებაში" აძლიერებს სწავლის შედეგს 4 და სწავლის შედეგს 8; „ლიდერობა და მართვა ადრეული აღზრდა-განათლებაში" აღრმავებს სწავლის მე-7 შედეგს; ხოლო „ენა, მეტყველება და კომუნიკაცია ადრეულ საბავშვო ასაკში" ამყარებს სწავლის მე-4 შედეგს. მოცემული სტრუქტურა სტუდენტებს შინაარსობრივი არჩევანის საშუალებას აძლევს და ამავდროულად უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულობას. ინსტიტუციური ინფრასტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტების ხელმისაწვდომობას სასწავლო მასალებზე, კარგად არის განვითარებული.

გამოვლინდა ხარვეზი, რომელიც ეხება ფაკულტეტის თავისუფალი კომპონენტების მოდულის ფარგლებში ინგლისური ენის კურსების კრედიტებსა და შინაარსობრივ სტრუქტურას. ორსაფეხურიანი სტრუქტურა — საფეხური I იმ სტუდენტებისთვის, რომლებმაც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე სხვა უცხო ენა ჩააბარეს და არა ინგლისური, და საფეხური II მათთვის, ვინც ინგლისური ჩააბარა — წარმოადგენს დოკუმენტურად დადასტურებულ წინარე ცოდნაზე დაფუძნებულ სრულიად გამართლებულ დიფერენცირებას და რაიმე შეშფოთებას არ იწვევს. საკითხი ეხება თითოეულ საფეხურს ინდივიდუალურად.

ორივე საფეხურზე თითოეული ერთსემესტრიანი კურსი 6-კრედიტის ფარგლებში მოიცავს CEFR-ის ორ განსხვავებულ დონეს (საფეხური I: A1/A2, A2/B1, B1/B2; საფეხური II: B1+, B2.1/B2.2). ეს მნიშვნელოვანია, რადგან CEFR-ის თანმიმდევრული დონეები არ წარმოადგენს ერთი და იმავე კომპეტენციის მხოლოდ გრადაციებს, არამედ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად განსაზღვრულ სამიზნე ნიშნულებს, რომლებსაც აქვთ მკაფიოდ გამიჯნული აღწერები ენის ოთხივე უნარისთვის ცალ-ცალკე. კურსი, რომელიც ერთი სემესტრის განმავლობაში ამ მასშტაბის პროგრესიას აცხადებს, მოითხოვს სერიოზულ პედაგოგიურ დასაბუთებას.

სხვადასხვა დონის სტუდენტებისთვის ერთობლივი ენობრივი სწავლება თავისთავად დაუშვებლად არ მიიჩნევა.; ინტენსიური, კარგად უზრუნველყოფილი პროგრამები, რომლებიც აღიარებული სტანდარტების ფარგლებში მოქმედებენ, ამას ნამდვილად აღწევენ. თუმცა, სამი პირობა აშკარად უნდა იყოს დაკმაყოფილებული: (1) სამუშაო დატვირთვა — 65 საკონტაქტო საათი და 85 დამოუკიდებელი სწავლების საათი — საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ ქვედა დონეზე შემოსულმა სტუდენტმა კურსის დასრულებისას მიაღწიოს ზედა დონეს; (2) სწავლის შედეგები და შეფასების კრიტერიუმები მკაფიოდ უნდა მოიცავდეს ორივე დონეს, რაც საშუალებას იძლევა, გადამოწმდეს სრული პროგრესი და არა მხოლოდ ერთი შუალედური წერტილიდან მიღებული შედეგები; და (3) სასწავლო პროცესის აღწერაში დოკუმენტირებული უნდა იყოს, როგორ იმართება კურსში ერთი დონიდან მეორეზე გადასვლა — კერძოდ, მიღწევის ზღვრული

კრიტერიუმები, სწავლების ტემპი და ჯგუფის შიგნით სტუდენტთა შორის განსხვავებებზე რეაგირება.

აკრედიტაციის შეხვედრაზე კურსის კოორდინატორმა განმარტა, რომ ერთ კურსში CEFR-ის ორი დონის გაერთიანება ენის უფრო ეფექტურ შესწავლას უწყობს ხელს. ეს განზრახვა გასაგები და დასაფასებელია; თუმცა აკრედიტაციის მიზნებისთვის კურსის ისეთი დიზაინი, რომელიც პირდაპირ განსაზღვრავს, შეძლებენ თუ არა სტუდენტები განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, არ შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ ზოგად პედაგოგიურ დასაბუთებას. კონკრეტულად, იგი უნდა დაეყრდნოს მეორე ენის ათვისების სფეროში არსებულ აღიარებულ კვლევებს, CEFR-ის შესაბამის სახელმძღვანელო პრინციპებს, ან პროგრამის საკუთარი სტუდენტების შედეგებიდან მიღებულ მტკიცებულებებს. ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, აღნიშნული დასაბუთება შესაბამისი წესით ფორმალიზდეს და დოკუმენტურად გაფორმდეს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სილაბუსები
- ინტერვიუების შედეგები

[რეკომენდაციები](#).

- რეკომენდებულია გადაიხედოს ინგლისური ენის ყველა იმ სასწავლო კურსის სილაბუსი, რომელიც ერთი სემესტრის განმავლობაში ფარავს CEFR-ის ორ დონეს, სწავლის შედეგების, შეფასების კრიტერიუმებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების ამსახველი დოკუმენტაციის საფუძველზე, მკაფიოდ უნდა დასაბუთდეს, რომ განსაზღვრული სასწავლო დატვირთვა საკმარისია დაგეგმილი დონის სრულად მისაღწევად და რომ კურსის აღნიშნული სტრუქტურა ეფუძნება მეორე ენის ათვისების სფეროში აღიარებულ კვლევებს ან CEFR-ის განხორციელების სახელმძღვანელო პრინციპებს.

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შეფასება
1.5. სასწავლო კურსი/საგანი	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ- ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სკოლამდელი განათლების საბაკალავრო პროგრამას ხანგრძლივი ინსტიტუციური ისტორია აქვს, რომელიც 1932 წლიდან იწყება, როდესაც სკოლამდელი განათლება სოხუმის პედაგოგიურ უნივერსიტეტში ერთ-ერთ პირველ პროგრამას წარმოადგენდა. პროგრამა ბოლოს დამტკიცდა აკადემიური საბჭოს მიერ №05/01-342 დადგენილებით (2026 წლის 13 თებერვალი) და მოიცავს 180 ECTS კრედიტს 6 სემესტრის განმავლობაში.

პროგრამას ახორციელებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიონალი გუნდი და იგი სამ სასწავლო მოდულს მოიცავს: საფაკულტეტო კომპონენტს, სპეციალიზაციის სავალდებულო და არჩევით მოდულს და პრაქტიკისა და კვლევის მოდულს. პროგრამის საერთო აკადემიურ კოორდინაციასა და პერსონალის საქმიანობის შესაბამისობას პროგრამის ცხრა განსაზღვრულ სწავლის შედეგთან უზრუნველყოფს პროგრამის სამი კოორდინატორი.

დოკუმენტაციის შესწავლა ადასტურებს, რომ სკოლამდელი განათლების საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსს, ბაკალავრიატის საფეხურსა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას — სკოლამდელი განათლების ბაკალავრს, რომელიც საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს (NQF) VI დონეს შეესაბამება. ეს შესაბამისობა მხოლოდ ფორმალური ხასიათის არ არის: წინაპირობების სტრუქტურა ასახავს თანმიმდევრული პროგრესიის ლოგიკას, რომელიც შეესაბამება რეგულირებად პროფესიულ სფეროში სპეციალისტი პრაქტიკოსების მომზადების პროგრამას.

მიღება ხორციელდება მხოლოდ ერთიანი ეროვნული გამოცდების მეშვეობით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით. ეს მექანიზმი უზრუნველყოფს, რომ შერჩევის პროცესი იყოს ობიექტური, ეროვნულ დონეზე სტანდარტიზებული და გამორიცხავდეს ინსტიტუციურ ჩარევას მიღების პროცესში. ინტერვიუების ფარგლებში მიღებული ინფორმაცია ავსებს და დამატებით ადასტურებს დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად გამოკვეთილ სურათს. ექსპერტთა ჯგუფმა დაადასტურა, რომ სტუდენტთა წლიური მიღება ხორციელდება სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული 20–30 სტუდენტის კვოტის ფარგლებში. პროგრამაზე დაშვების ყველა წინაპირობა, კრიტერიუმი და პროცედურა საჯაროდ არის ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე, რაც აკრედიტაციის სტანდარტით გათვალისწინებულ გამჭვირვალობის მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

პროგრამის დოკუმენტაცია (დანართი 4 – აკადემიური და მოწვეული პერსონალი სასწავლო კურსების მიხედვით) ცხადად ადასტურებს, რომ თითოეული აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური კვალიფიკაცია შეესაბამება მათ მიერ წაკითხული კურსების შინაარსს.

პროგრამა განსაზღვრავს ცხრა სწავლის შედეგს სამ სფეროში: ცოდნა და გაცნობიერება (სშ1–სშ4), უნარები (სშ 5–სშ 7), პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა (სშ 8–სშ 9). პროგრამის დოკუმენტის მე-3 დანართი ასახავს თითოეული კურსის კავშირს ამ შედეგებთან სამსაფეხურიანი პროგრესიის სქემის გამოყენებით (გაცნობა; გაღრმავება; განმტკიცება). მოწოდებული დოკუმენტაციის ანალიზი ადასტურებს, რომ პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება იმ შედეგებს, რომელთა შემუშავებაზეც ისინი პასუხისმგებელნი არიან.

პროგრამის განვითარებას ხელს უწყობს პერსონალის აქტიური საერთაშორისო ჩართულობა. აკადემიური პერსონალი მონაწილეობდა Erasmus+-, Tempus-, UNICEF- და USAID-დაფინანსებულ პროექტებში, ესწრებოდა საერთაშორისო კონფერენციებს და ახორციელებდა სამეცნიერო კვლევებს. პერსონალის CV-ები და ინდივიდუალური დატვირთვის დოკუმენტები ადასტურებს მიმდინარე აკადემიურ აქტივობას. პროგრამის ციფრული სწავლების ინსტრუმენტების კურსი შემუშავდა EU DITECH პროექტის ფარგლებში; მშვიდობის განათლების არჩევითი კურსი კი — EU PeaceEdu პროექტის ფარგლებში. ეს უზრუნველყოფს, რომ პროგრამა შეესაბამებოდეს ადრეული ბავშვობის განათლების სფეროში არსებულ ევროპულ ტენდენციებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში.
- გარე შეფასების დასკვნები
- სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია;

- სსუ-ს ვებ-გვერდი;
- ინტერვიუების შედეგები

[რეკომენდაცები](#).

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	**შეფასება**
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის დანართი 3 - კურსის სწავლის შედეგებისა და პროგრამის სწავლის შედეგების რუკა - ასახავს პროგრამის ცხრა სწავლის შედეგიდან თითოეულის პროგრესს პროგრამის სრული კურსის განმავლობაში - შესავლიდან პრაქტიკამდე და დაუფლებამდე. ეს დოკუმენტი აჩვენებს, რომ პრაქტიკული უნარების გაცნობა ხდება (სწავლის შედეგები 5, 6 და 9) პირველ და მეორე სემესტრში, 3- 5 სემესტრში პრაქტიკაზე ორიენტირებული სავალდებულო კურსებით ღრმავდება, ხოლო დაუფლების დონე ფასდება პრაქტიკა IV-სა და საბაკალავრო ნაშრომში მე-6 სემესტრში. კვლევითი უნარები (სწავლის შედეგები 7 და 9) მსგავს რკალს მიჰყვება, პირველი სემესტრის აკადემიური წერიდან, მე-5 მე-6 სემესტრში კვლევის მეთოდებისა და კვლევითი მოქმედების ჩათვლით, და მათი

სინთეზით ნაშრომში. შემოქმედებითი უნარები (სწავლის შედეგები 5 და 6) ვითარდება პირველ ოთხ სემესტრში სპეციალიზებული შემოქმედებითი სასწავლო კურსების მეშვეობით, ხოლო მათი პრაქტიკაში გამოყენება ხორციელდება პრაქტიკა III-ისა და IV-ის ფარგლებში შემოქმედებითი აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. ტრანსფერული უნარები (სწავლის შედეგები 2, 7, 8 და 9) განაწილებულია პროგრამის თითქმის ყველა კურსზე - ენობრივი კურსებიდან დაწყებული, რომლებიც კომუნიკაციურ კომპეტენციას ავითარებენ, სოციოლოგიის, ეთიკისა და პოლიტიკის კურსებით დამთავრებული, რომლებიც ავითარებენ პროფესიულ და სამოქალაქო ღირებულებებს.

პროგრამის 2.2 სტანდარტისადმი მიდგომის ყველაზე მნიშვნელოვანი და სტრუქტურულად ცენტრალური კომპონენტია მისი პრაქტიკის მოდული, რომელიც მოიცავს 30 ECTS კრედიტს - პროგრამის მთლიანი მოცულობის 15 პროცენტზე მეტს - და ვრცელდება ექვსივე სემესტრზე. ეს არ არის თეორიულ კვლევასთან დაკავშირებული შემთხვევითი საველე სამუშაო; ეს არის პროგრესულად სტრუქტურირებული პროფესიული ფორმირების გზა, იგი წარმოადგენს ძირითად მექანიზმს, რომლის მეშვეობითაც სტუდენტები ავითარებენ და აჩვენებენ პრაქტიკულ კომპეტენციას ადრეული განათლების რეალურ გარემოში.

ინტერვიუების დროს ექსპერტებმა მნიშვნელოვანი ოპერაციული დეტალები მიიღეს იმის შესახებ, თუ როგორ ფუნქციონირებს პრაქტიკის კომპონენტი რეალობაში. ცენტრალური მოვლენა, რომელიც დადასტურდა ჯგუფის მიერ, იყო 2024 წლის 5 მაისს საბავშვო ბაღების სააგენტოსთან ურთიერთგაგების მემორანდუმის ხელმოწერა. ეს ურთიერთგაგების მემორანდუმი ოფიციალურად ადგენს, რომ სააგენტოსთან აფილირებული ყველა საბავშვო ბაღი ხელმისაწვდომია როგორც სსუ- ს სტუდენტების დასაქმების, ასევე არსებული პერსონალის პროფესიული გადამზადების ადგილებად.

ჯგუფმა ასევე აღნიშნა, რომ საბავშვო ბაღებთან ყოველდღიური კავშირები შენარჩუნებულია აკადემიურ პერსონალსა და საბავშვო ბაღის პრაქტიკოსებს შორის პირდაპირი პირადი ურთიერთობების გზით - არაფორმალური არხი, რომელიც ავსებს

ფორმალურ ურთიერთგაგების მემორანდუმს და ასახავს პროგრამის გარშემო არსებულ პროფესიონალ პრაქტიკოსთა საზოგადოებას.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამას პარტნიორ საბავშვო ბაღებთან გაფორმებული აქვს მემორანდუმები, ეს მემორანდუმები თანმიმდევრულად არ აკონკრეტებს სტუდენტთა რაოდენობას, პრაქტიკის მიზნებს, სწავლის შედეგებს და დასაქმების ხანგრძლივობას. შესაბამისად, მემორანდუმები სრულად ვერ აკმაყოფილებენ 2.2 კომპონენტის შეფასების კრიტერიუმების მოთხოვნებს, რათა სრულად უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა.

კვლევის ასპექტში, წარმოდგენილმა დოკუმენტებმა და პანელურმა დისკუსიამ დაადასტურა, რომ სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ Peace- Edu- ს საერთაშორისო საგანმანათლებლო კვლევით პროექტში, რაც ქმნის აუდიტორიის მიღმა რეალურ კვლევით კონტექსტს. აკადემიური წლის განმავლობაში ორჯერ იმართება ეროვნული და საერთაშორისო ერთობლივი პრეზენტაციების კონფერენცია, რაც სტუდენტებს აძლევს სტრუქტურირებულ შესაძლებლობას, გაუზიარონ თავიანთი კვლევის შედეგები უფრო ფართო აუდიტორიას; ეს წარმოადგენს ტრანსფერული უნარების განვითარების მნიშვნელოვან ელემენტს. 2025–2026 წლებში სტუდენტების ავტორობით დაწერილი სტატიების კრებული, რომელიც mastsavlebeli.ge პორტალზე გამოქვეყნდა, იძლევა დამატებით, საერთაშორისოდ სანდო მტკიცებულებას კვლევითი ჩართულობის შესახებ, რომელიც სცილდება ინსტიტუციურ გარემოს და ხელს უწყობს ეროვნულ პროფესიულ დისკურსს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- გარე შეფასების დასკვნები
- ინტერვიუების შედეგები

[რეკომენდაციები](#).

- რეკომენდებულია, განახლდეს და ერთიანი ფორმით გაფორმდეს მემორანდუმები ყველა პარტნიორ საბავშვო ბაღთან, რათა მკაფიოდ განისაზღვროს პრაქტიკაში ჩართული სტუდენტების რაოდენობა, პრაქტიკის მიზნები, მოსალოდნელი შედეგები და მისი ხანგრძლივობა. რეკომენდებულია, შემუშავდეს ერთიანი სტანდარტული ფორმატი (შაბლონი) ყველა მემორანდუმისთვის.

[რჩევები პროგრამის განვითარებისათვის]

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	**შეფასება**
2,2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სწავლება-სწავლა: სსუ-ს სწავლება-სწავლის პროცესის დებულება უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მყარ და დეტალურ ჩარჩოს. ფაკულტეტი აქტიურად ახორციელებს სწავლის უნივერსალურ დიზაინს, სთავაზობს სწავლების მრავალფეროვან და მოქნილ ფორმებს, უზრუნველყოფს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შექმნას სპეციალური საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის და ხელოვნური ინტელექტის გამოყენების 2026 წლის სახელმძღვანელოს მეშვეობით აღჭურავს სტუდენტებსა და პერსონალს თანამედროვე ციფრული ინსტრუმენტებით.

შეფასების სისტემა გამჭვირვალე, თანმიმდევრული და სწავლის შედეგებთან თავსებადია. იგი იყენებს 10-ქულიან შეფასების სკალას მკაფიოდ განსაზღვრული დადებითი და უარყოფითი ზღვრებით, თითოეული შეფასების ფორმისთვის სავალდებულო მინიმალური კომპეტენციის მოთხოვნებს, სტანდარტიზებულ გამოცდას, სტრუქტურირებულ სააპელაციო პროცედურას და პლაგიარიზმის საწინააღმდეგო პოლიტიკას. კვლევითი კომპონენტი (მაგისტრატურისა და დოქტორანტურის) ფასდება ჰოლისტიკური დაცვის პროცედურით, ბევრი შემფასებლის მონაწილეობით.

სილაბუსებში წარმოდგენილი მეთოდოლოგიური სია მოიცავს:

- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლებას (PBL) - ანვითარებს ანალიტიკურ და გადაწყვეტაზე ორიენტირებულ კომპეტენციებს
- შემთხვევის ანალიზს - ახდენს ცოდნის კონტექსტუალიზაციას რეალისტურ პროფესიულ სცენარებში
- როლურ თამაშსა და სიმულაციას - უზრუნველყოფს მცირეწლოვან ბავშვებთან უსაფრთხო პროფესიული ურთიერთქმედების რეპეტიციას
- ჯგუფურ მუშაობასა და დისკუსიას — ახდენს თანამშრომლობითი და კომუნიკაციური კომპეტენციების განვითარებას
- პროექტზე დაფუძნებულ სწავლებას — უზრუნველყოფს ცოდნისა და უნარების ინტეგრირებას მდგრად, მიზანმიმართულ აქტივობაში
- პორტფოლიოს მეთოდს — ახდენს რეფლექსიური თვითდოკუმენტირებისა და პროფესიული ზრდის მტკიცებულების ჩამოყალიბებას
- რეფლექსიურ დავალებებს — იწვევს პრაქტიკოსის რეფლექსიური უნარის სისტემატური განვითარებას
- მოქმედებით კვლევას — ახდენს ძიებისა და პრაქტიკის ინტეგრირება რეალურ პროფესიულ გარემოში

ეს მეთოდოლოგიური პროფილი განსაკუთრებით კარგად შეესაბამება ადრეული და სკოლამდელი განათლების დისციპლინას. აღნიშნული დისციპლინა მოითხოვს

სპეციალისტებს, რომლებიც ერთდროულად ფლობენ ბავშვთა განვითარების თეორიის საფუძვლიან ცოდნას, აქვთ პედაგოგიური პრაქტიკის ტექნიკური უნარები, კრიტიკულად აფასებენ საკუთარ სასწავლო საქმიანობას, რეაგირებენ თითოეული ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე და შეუძლიათ მრავალფეროვან ჯგუფებთან ინკლუზიური მუშაობა. ზემოთ ჩამოთვლილი მეთოდები ერთობლივად პასუხობს ყველა ამ მოთხოვნას. განსაკუთრებით აღსანიშნავია სიმულაციისა და როლური თამაშების გამოყენებაზე გაკეთებული აქცენტი: ეს მეთოდები სტუდენტებს საშუალებას აძლევს უსაფრთხო და ზედამხედველობით უზრუნველყოფილ გარემოში გაიარონ პროფესიული სიტუაციების მოდელირება მცირეწლოვან ბავშვებთან მუშაობისას, მათ შორის რთული შემთხვევების დამუშავებაც. ასეთ გარემოში დაშვებული შეცდომები წარმოადგენს სწავლის შესაძლებლობას და არა რეალური ბავშვებისთვის შედეგების მომტან ფაქტორს.

პანელური დისკუსიის შედეგებმა მნიშვნელოვნად გაამდიდრა სწავლება-სწავლის მეთოდების შესახებ დოკუმენტური მასალა, შემატა მას პრაქტიკული და კონტექსტუალური სიღრმე. ჯგუფმა დაადასტურა, რომ სწავლების სტრუქტურა ორგანიზებულია პროგრამის დისციპლინური პროფილის შესაბამისად, რაც წინასწარ განსაზღვრავს სხვადასხვა სასწავლო კურსში თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტებს შორის ბალანსს. ეს წარმოადგენს პროგრამის დიზაინის პრინციპს, რომელიც უზრუნველყოფს მეთოდოლოგიურ თანმიმდევრულობას და არ ტოვებს თეორია-პრაქტიკის ბალანსის განსაზღვრას ცალკეული ლექტორების ინდივიდუალურ გადაწყვეტილებაზე.

ჯგუფის მიერ დადასტურებულ მნიშვნელოვან ძლიერ მხარეს წარმოადგენს სწავლის უნივერსალური დიზაინის (Universal Design for Learning – UDL) პრინციპების ინტეგრირება პროგრამის პედაგოგიკურ მიდგომაში. სწავლის უნივერსალური დიზაინი არ განიხილება როგორც დამატებითი კომპონენტი ან მხოლოდ შესაბამისობის მოთხოვნა; იგი ინტეგრირებულია სასწავლო კურსების განხორციელების პროცესში, ხოლო ინკლუზიური განათლების კურსს უძღვება სპეციალისტი, რომელსაც მონაწილეობა აქვს მიღებული ამ მიმართულებით განხორციელებულ სპეციალურ

კვლევით პროექტში. აკადემიურმა პერსონალმა გაიარა ინკლუზიური განათლებისა და ადრეული განათლების პრაქტიკის მიმართულებით UNICEF- ის მხარდაჭერით ორგანიზებული ტრენინგები და ასევე აქვთ საბავშვო ბაღებში მუშაობის უშუალო პრაქტიკული გამოცდილება. ფორმალური ტრენინგის, სპეციალიზებული ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების ეს კომბინაცია პროგრამას აძლევს მყარ საფუძველს, რომ სარწმუნოდ და ეფექტიანად წარმოაჩინოს ინკლუზიური პრაქტიკის მოდელი.

ციფრული ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით, ჯგუფმა დაადასტურა, რომ პროგრამა იყენებს Stadla-ს სასწავლო პროცესის მართვის სისტემას (LMS) და ელექტრონული გამოცდების პლატფორმას. ლექტორები სხვადასხვა პლატფორმის საშუალებით იყენებენ ინდივიდუალურ ციფრულ უკუკავშირს, კოლეგიალურ შეფასებასა და რეალურ დროში კომენტირების მექანიზმებს, რაც ციფრული ინსტრუმენტების აქტიურ და არა მხოლოდ პასიურ გამოყენებაზე მიუთითებს. განსხვავებული ლინგვისტური და კულტურული წარმომავლობის მქონე სტუდენტებისთვის სასწავლო მასალები ითარგმნება გამარტივებულ ქართულ ენაზე, ხოლო ყოველ კვირაში ხელმისაწვდომია ორი საათი ინდივიდუალური კონსულტაციებისთვის. ეს მექანიზმები ადასტურებენ, რომ დაწესებულება აცნობიერებს სტუდენტური კონტინგენტის ლინგვისტურ მრავალფეროვნებას, რაც საქართველოს საგანმანათლებლო კონტექსტში იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას. .

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სწავლება- სწავლის მეთოდები
- ინდივიდუალური გეგმების დოკუმენტაცია
- უსდ- ში პროგრამის განსახორციელებლად გამოყენებული ელექტრონული რესურსები
- ინტერვიუების შედეგები

[რეკომენდაციები](#).

- არ არის მითითებული

[რჩევები პროგრამის განვითარებისათვის]

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შეფასება
2,3. სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტუდენტთა შეფასება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხორციელდება მკაფიოდ განსაზღვრული და თანმიმდევრულად გამოყენებული პროცედურების საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის შეფასებას თანაბარ პირობებში. შეფასების სისტემა სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, შესაბამის რეგულაციებსა და უნივერსიტეტის შიდა პოლიტიკას, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის განმავლობაში აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ანგარიშვალდებულების პრინციპების დაცვას. შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები არის გამჭვირვალე, ხელმისაწვდომი და წინასწარ ცნობილი სტუდენტებისთვის.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება ხორციელდება საქართველოს უმაღლესი განათლების ეროვნული კრედიტების სისტემის შესაბამისად. უნივერსიტეტში სტუდენტის აკადემიური მოსწრების შეფასება შედგება ორი ძირითადი კომპონენტისგან — შუალედური და საბოლოო შეფასებისგან, რომელთა ჯამური მაქსიმალური ქულა შეადგენს 100-ს. შეფასების სტრუქტურასა და მეთოდებს განსაზღვრავს სასწავლო კურსის ლექტორი (სილაბუსის ავტორი), რომელიც საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით ირჩევს შეფასების შესაბამის ფორმებს. განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს

გადაწყვეტილებით, შუალედური შეფასებების ჯამური მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განსაზღვრულია 11 ქულით (ცალკეულ შემთხვევებში – 15 ქულით), ხოლო საბოლოო შეფასების/ გამოცდის მინიმალური ზღვარი შეადგენს საბოლოო შეფასების 50%-ს (20 ქულას).

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციას — მათ შორის პროგრამების სტრუქტურის, შინაარსის, სწავლების მიდგომებისა და შეფასების მეთოდების შესახებ — ავრცელებს სხვადასხვა არხის მეშვეობით. ამ არხებს მიეკუთვნება პროგრამების აღწერილობები და კატალოგები, სასწავლო კურსების სილაბუსები, რომლებიც ხელმისაწვდომია სწავლის ელექტრონული მართვის სისტემაში (Studlab), აგრეთვე კონსულტაციები ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალთან. ვინაიდან ეს პროგრამა ახალია, შესაბამისი ინფორმაციის სანდოობა დადასტურდა სხვა პროგრამების სტუდენტებთან ინტერვიუების საფუძველზე.

სტუდენტებს ასევე აქვთ მათი სწავლის შედეგების შეფასების გასაჩივრების უფლება. შესაბამისი პროცედურები დეტალურად არის განსაზღვრული სასწავლო პროცესის მარეგულირებელ დებულებაში. სტუდენტთა ინფორმირებულობა აღნიშნული წესების შესახებ უზრუნველყოფილია ინფორმაციის საჯარო ხელმისაწვდომობითა და სპეციალურად ორგანიზებული საინფორმაციო შეხვედრების საშუალებით. სტუდენტებმა დაადასტურეს აღნიშნული ინფორმაციის არსებობა და გამოხატეს კმაყოფილება არსებული პრაქტიკის მიმართ.

სტუდენტები რეგულარულად იღებენ კონსტრუქციულ უკუკავშირს საკუთარი სწავლის შედეგების შესახებ, რაც მათ საშუალებას აძლევს ნათლად გააცნობიერონ საკუთარი აკადემიური პროგრესი და მიღწეული შედეგების დონე. უკუკავშირი არა მხოლოდ ასახავს მათ მიღწევებს დადგენილ შეფასების კრიტერიუმებთან მიმართებით, არამედ ხელს უწყობს მათ შემდგომ განვითარებას ინდივიდუალური ძლიერი მხარეებისა და იმ სფეროების იდენტიფიცირების გზით, რომლებიც საჭიროებენ დამატებით გაუმჯობესებას. სტუდენტებმა დაადასტურეს აღნიშნული უკუკავშირის ხელმისაწვდომობა და პრაქტიკული სარგებლიანობა, ასევე გამოხატეს მაღალი ხარისხის კმაყოფილება როგორც თავად პროცესის, ისე მისი გავლენის მიმართ მათ სწავლასა და პროფესიულ განვითარებაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში.
- სტუდენტების შეფასების ელექტრონული სისტემა (Studlab)

- საგანმანათლებლო პროგრამები, სილაბუსები
- დებულება სასწავლო პროცესის უზრუნველყოფის შესახებ
- ინტერვიუების შედეგები

[რეკომენდაციები](#).

- არ არის მითითებული

[რჩევები პროგრამის განვითარებისათვის](#)

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	**შეფასება**
[2,4. სტუდენტების შეფასება](#)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტი სკოლამდელი განათლების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს სთავაზობს სტუდენტზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოს, რომელიც

მრავალფეროვანი აკადემიური და მხარდამჭერი სერვისებით არის უზრუნველყოფილი. შიდა რეგულაციების შესაბამისად, სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ გაიარონ კონსულტაციები აკადემიური დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების, კარიერული განვითარების და დასაქმების შესაძლებლობების მიმართულებით. აღნიშნული სერვისები მიზნად ისახავენ სტუდენტების საგანმანათლებლო პროგრესისა და პროფესიულ საქმიანობაში წარმატებული ინტეგრაციის ხელშეწყობას.

საგანმანათლებლო დაგეგმვისა და აკადემიური წარმატების ხელშეწყობის მიზნით, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები იღებენ კონსულტაციასა და მხარდაჭერას უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულისგან, მათ შორის ფაკულტეტის ადმინისტრაციის, აკადემიური და მოწვეული პერსონალისგან. აკადემიური განვითარების ხელშეწყობისთვის უნივერსიტეტი იყენებს სწავლის ელექტრონული მართვის სისტემას, რომელიც სტუდენტებს საშუალებას აძლევს რეგულარულად აკონტროლონ საკუთარი აკადემიური მოსწრება, დაგროვებული კრედიტები და ადმინისტრაციული საქმიანობა.

სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისების გაძლიერებისა და გაუმჯობესების მიზნით, უნივერსიტეტი სისტემატურად ატარებს სტუდენტთა გამოკითხვებს, რათა მოიპოვოს უკუკავშირი სტუდენტური გამოცდილების სხვადასხვა ასპექტის თაობაზე. მიღებული უკუკავშირის ანალიზი დაწესებულებას საშუალებას აძლევს გამოავლინოს საკუთარი ძლიერი მხარეები და განსაზღვროს ის სფეროები, რომლებიც საჭიროებენ შემდგომ განვითარებას, რითაც უზრუნველყოფს სტუდენტთა საჭიროებებზე ეფექტიან რეაგირებას.

ინტერვიუების დროს როგორც სხვა პროგრამების მოქმედმა სტუდენტებმა, ისე კურსდამთავრებულებმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭეს აღნიშნულ გამოკითხვებს და აღნიშნეს, რომ უკუკავშირის პროცესში მათი მონაწილეობა დროთა განმავლობაში განაპირობებდა სტუდენტური სერვისების თვალსაჩინო გაუმჯობესებას. ამ პროცესის შედეგად მიღებული ინფორმაცია უნივერსიტეტს შესაძლებლობას

აძლევს, უკეთ შეუსაბამოს საკუთარი მხარდამჭერი მექანიზმები სტუდენტთა მოლოდინებს და მუდმივად მოარგოს ისინი მათ ცვალებად საჭიროებებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- მარეგულირებელი დოკუმენტები
- ვებ-გვერდი
- ინტერვიუების შედეგები
- თვითშეფასების ანგარიში.

[რეკომენდაციები](#).

- არ არის მითითებული

[რჩევები პროგრამის განვითარებისათვის](#)

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	**შეფასება**
[3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები](#)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3.2. მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებს.
- სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

მაგისტრანტების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მონაცემები

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა	
მაგისტრანტთა რაოდენობა	
სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების/მაგისტრანტების თანაფარდობა	

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

[რეკომენდაციები](#).

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისათვის](#)

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
[3,2. მაგისტრანტების ხელმძღვანელობა](#)	აირჩიეთ შესაბამისი

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია სულ 29 თანამშრომელი, მათ შორის 20 აკადემიური და 9 მოწვეული პერსონალი, რომელთაგან ყველას აქვს კვალიფიკაცია და გამოცდილება, რომელიც შეესაბამება პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო კომპეტენციებს. პროგრამა ინტერდისციპლინური ხასიათისაა და ეყრდნობა განათლების მეცნიერებების, სკოლამდელი განათლების, ფსიქოლოგიის, ფიზიოლოგიის, ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სფეროებში არსებულ ექსპერტიზას.

პროგრამაში ჩართული 29-ვე თანამშრომელი ფლობს დარგობრივ კომპეტენციას, ხოლო მათგან 9-ს აქვს დოქტორის (PhD) აკადემიური ხარისხი შესაბამის დარგობრივ მიმართულებაში. აკადემიური პერსონალის აკადემიური თანამდებობების განაწილება შემდეგია: 4 აფილირებული პროფესორი; 13 აფილირებული ასოცირებული პროფესორი; 2 აფილირებული ასისტენტ-პროფესორი; 1აფილირებული ასისტენტი; ასევე, 9 მოწვეული ლექტორი. მოწვეული პერსონალიდან 5-ს აქვს შესაბამის სფეროში მინიჭებული დოქტორის ხარისხი, ხოლო დანარჩენი 4 აღიარებული დარგობრივი სპეციალისტია, რომელთაც სკოლამდელი პედაგოგიკის, სახვითი ხელოვნების, ფიზიკური აღზრდისა და ინგლისური ენის სწავლების მიმართულებით გააჩნიათ

პრაქტიკული კომპეტენციები. 20-ვე აკადემიური პერსონალი აფილირებულია უნივერსიტეტთან, ხოლო საერთაშორისო აკადემიური პერსონალი ამ ეტაპზე პროგრამაში ჩართული არაა.

აღსანიშნავია, რომ 4 პროფესორსა და 14 ასოცირებულ პროფესორს შორის მხოლოდ 4 ასოცირებულ პროფესორს აქვს დოქტორის ხარისხი შესაბამის დარგობრივ მიმართულებაში, ხოლო პროფესორებს შორის ამჟამად არც ერთს არ გააჩნია აღნიშნული მიმართულების დოქტორის ხარისხი, რაც შეფასების პროცესში შემდგომი განვითარების საჭიროებად იქნა იდენტიფიცირებული. შესაბამისად, მიზანშეწონილია, რომ დაწესებულებამ საშუალოვადიანი სტრატეგიული ამოცანის სახით განსაზღვროს პროგრამაში სულ მცირე ერთი ისეთი პროფესორის ჩართვა, რომელსაც განათლების მეცნიერებების ან სკოლამდელი განათლების სფეროში ექნება მინიჭებული დოქტორის (PhD) ხარისხი.

უნივერსიტეტი იყენებს შრომითი დატვირთვის განაწილების ოფიციალურად დამტკიცებულ წესს, რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას. ინდივიდუალური დატვირთვის სქემები ახლდება ყოველ სემესტრში და მტკიცდება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ. აღნიშნული სქემები მოიცავს სასწავლო, კვლევით და სხვა ინსტიტუციურ საქმიანობას. იმ შემთხვევაში, თუ აკადემიურ პერსონალს პარალელურად სხვა დაწესებულებაშიც უკავია პოზიცია, ეს ინფორმაცია ასევე აისახება დატვირთვის სქემაში, რაც უზრუნველყოფს პროცესის სრულ გამჭვირვალობას. სტუდენტებთან საკონსულტაციო საათები პერსონალის თითოეული წევრის დატვირთვის სქემაში ცალსახად არის გათვალისწინებული. პროგრამაზე ყოველწლიურად მისაღები 30 სტუდენტისა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული 29 თანამშრომლის რაოდენობა შეფასებულია როგორც ადეკვატური. აფილირებული აკადემიური პერსონალის მაღალი წილი უზრუნველყოფს ინსტიტუციურ მდგრადობასა და კვლევით საქმიანობაზე ორიენტირებულ სტაბილურ გარემოს, ხოლო მოწვეული ლექტორები პროგრამას ამდიდრებენ კონკრეტული სფეროების პრაქტიკული ექსპერტიზით. პერსონალის

დენადობის დინამიკის ანალიზი შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების საშუალებით ხორციელდება.

აკადემიური პერსონალის საქმიანობის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი მხარდაჭერილია ყოველწლიური ანგარიშგების სისტემით, რომელსაც ადმინისტრირებას უწევს სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი, ხოლო მიღებული შედეგები ექვემდებარება გარე შეფასებას საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ. მიმდინარე აკრედიტაციის პერიოდში განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პროგრამებში ჩართული პერსონალის სამეცნიერო ნაშრომები და კვლევითი შედეგები სისტემატურად იღებენ ექსპერტთა უმაღლეს შეფასებებს.

პროგრამას ხელმძღვანელობს სამი აკადემიური პერსონალი. *პროფესორი ლია ახალაძე* — აფილირებული პროფესორი, ისტორიის დოქტორი. იგი იყო სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი (2008–2020წწ.) და ამჟამად ხელმძღვანელობს სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტს. ასევე არის Erasmus+ პროექტ PeaceEdu-ს ხელმძღვანელი. იგი არის 100- ზე მეტი სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი, საერთაშორისო ინდექსირებულ ჟურნალში სარედაქციო კოლეგიის წევრი და მონაწილეობდა საქართველოში 2016–2020 წლებში განხორციელებულ ყველა მნიშვნელოვან ტრენინგ-პროგრამაში სკოლამდელი განათლების მიმართულებით. იგი კითხულობს ლექციებს და არის სასწავლო კურსის — „მრავალფეროვანი, მრავალეთნიკური და მულტიკულტურული საქართველო“ — ავტორი.

პროფესორი თამარ შინჯიაშვილი — განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი. 2020 წლიდან ხელმძღვანელობს ფაკულტეტის საგანმანათლებლო და კვლევით პროცესებს. იგი იყო Erasmus+ ოთხი პროექტისა და USAID- ის საბაზისო განათლების პროგრამის ფინანსური და ადმინისტრაციული მენეჯერი. მისი ინიციატივით დაფუძნდა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბავშვთა უფლებების ცენტრი, რომელიც წარმოადგენს სკოლამდელი განათლების პროგრამის ინსტიტუციურ საფუძველს. იგი

დაახლოებით 80 სამეცნიერო ნაშრომის ავტორია; ასევე უშუალოდ მონაწილეობს სასწავლო პროცესში.

დოქტორი ლალი ახალაძე — მოწვეული ლექტორი, ბიოლოგიის (ფიზიოლოგიის) დოქტორი, საქართველოს სპორტის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი. მას აქვს სპეციალიზებული ექსპერტიზა ბავშვის ფიზიოლოგიისა და განვითარების სფეროში. მისი კვლევები ძირითადად უკავშირდება ბავშვებში ფსიქოგენურ სტრესსა და სწავლის ფიზიოლოგიურ ასპექტებს. იგი მონაწილეობდა Erasmus+ პროექტ DARE- სა და UNICEF- ის საგანმანათლებლო პროექტებში, რომლებიც სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელდა. დოქტორ ლალი ახალაძეს შემუშავებული აქვს პროგრამის რამდენიმე სასწავლო კურსი, მათ შორის: „ბავშვის ფიზიოლოგია ჰიგიენის საფუძვლებით"; „ბავშვის განვითარების და სწავლის თავისებურებები ადრეულ განათლებაში"; „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან ურთიერთობა".

პროგრამის სამივე ხელმძღვანელი აქტიურად და სისტემატურად არის ჩართული პროგრამის დიზაინის, სასწავლო კურსების შემუშავებისა და მათი განხორციელების პროცესში. პროგრამის ადმინისტრირება ხორციელდება განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ფარგლებში, დეკანის, დეკანის მოადგილის, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურისა და სტუდენტთა რეესტრის მართვის პერსონალის მონაწილეობით. აღნიშნულ სტრუქტურას დამატებით მხარს უჭერს უნივერსიტეტის ცენტრალური ერთეულები, მათ შორის: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი; Horizon Europe- ის საგრანტო ოფისი. ეს მრავალდონიანი ადმინისტრაციული სისტემა უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის სათანადო ინსტიტუციური მხარდაჭერის არსებობას აკადემიური, ადმინისტრაციული და ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებებით.

მიუხედავად იმისა, რომ არსებული საკადრო შემადგენლობა, ზოგადად, კვალიფიციური და გამოცდილი გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებს, ყურადღებას საჭიროებს

თანამშრომელთა პროპორცია, რომლებსაც დოქტორის ხარისხი მინიჭებული აქვთ უშუალოდ დარგობრივ მიმართულებაში. პროგრამის აკადემიური დონისა და დისციპლინური სპეციფიკის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია ეტაპობრივად გაიზარდოს იმ პერსონალის რაოდენობა, განსაკუთრებით აკადემიურ თანამდებობებზე, რომელთაც განათლების მეცნიერებებისა და სკოლამდელი განათლების სფეროში გააჩნიათ შესაბამისი დოქტორის ხარისხი. ეს მნიშვნელოვნად გააძლიერებდა პროგრამის სამეცნიერო საფუძვლებს, ხელს შეუწყობდა კვლევაზე დაფუძნებული სწავლების განვითარებას და უზრუნველყოფდა აკრედიტაციის სტანდარტებით განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან კიდევ უფრო მეტ შესაბამისობას. შესაბამისად, მიზანშეწონილია დაწესებულებამ ადამიანური რესურსების განვითარების სტრატეგიის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიზნად განსაზღვროს დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალის რაოდენობის ზრდა.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	**პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა**	**მათ შორის დარგობრივი მიმართულებით პერსონალი**	**მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი [5]**	**მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სულ აკადემიური პერსონალი	**29**	**29**	**9**	**20**
- პროფესორი	4	4	0	4
- ასოცირებული პროფესორი	14	10	4	13
- ასისტენტ–პროფესორი	2	2	2	2
- ასისტენტი	1	1	0	1
მოწვეული პერსონალი	9	4	5	0
სამეცნიერო პერსონალი	0	0	0	0

[5] ძირითადი სასწავლო სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

საერთაშორისო პერსონალის ჩათვლით	0	0	0	0

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამის დოკუმენტაცია
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები და რეზიუმეები
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დოკუმენტები სამუშაო დატვირთვის დამტკიცების თაობაზე
- სსუ- ს აფილირების წესი და აფილირების ხელშეკრულებები
- აკადემიური პერსონალის კონკურსის მასალები
- განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ყოველწლიური სამეცნიერო ანგარიშები
- რაოდენობრივი მაჩვენებლები (დანართი 1)
- სსუ-ს ვებგვერდი (www.sou.edu.ge)

[რეკომენდაციები](#).

- არ არის მითითებული

[რჩევები პროგრამის განვითარებისათვის](#)

- სასურველია, ადამიანური რესურსების განვითარების სტრატეგიის პრიორიტეტულ მიზნად განისაზღვროს დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა.

შეფასება

კომპონენტი	**შეფასება**
[4.1 ადამიანური რესურსები](#)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.2 მაგისტრანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია

მაგისტრანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

არ შეფასებულა

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები.

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
4.2 მაგისტრანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია	აირჩიეთ შესაბამისი

4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში პერსონალის პროფესიული განვითარების მიმართულებით დანერგილია სისტემატური და ინსტიტუციურად მხარდაჭერილი მიდგომა, რომელიც 4.3 სტანდარტის მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობაშია.

სსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები რეგულარულად ახორციელებენ შეფასებებს, რომლებიც მოიცავს როგორც სწავლების ეფექტიანობას, ასევე კვლევით საქმიანობას. სტუდენტთა შეფასება ტარდება ანონიმურად ყოველი სემესტრის ბოლოს, ხოლო მიღებული შედეგები გამჭვირვალედ მიეწოდება დაინტერესებულ მხარეებს და გამოიყენება სწავლა-სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად. აკადემიური პერსონალის წლიური საქმიანობის ანგარიშები წარედგინება სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტს, რომელიც მათ შემდგომი გარე შეფასებისთვის აგზავნის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში. აკადემიის დარგობრივი სპეციალისტები სამეცნიერო შედეგებს აფასებენ შესაბამისი სფეროსთვის ადაპტირებული სტრუქტურირებული კითხვარების გამოყენებით. შეფასების შედეგები უბრუნდება პერსონალს და გამოიყენება გამოვლენილი საჭიროებებისა და განვითარების მიმართულებების განსაზღვრისათვის. აღსანიშნავია, რომ სკოლამდელი განათლების პროგრამაში ჩართული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგები მიმდინარე აკრედიტაციის პერიოდში საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისგან მუდმივად იღებდა უმაღლეს შეფასებებს. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის ფარგლებში ასევე ტარდება პერსონალის კმაყოფილების გამოკითხვები.

სსუ-ს 2026 წლის ბიუჯეტი ითვალისწინებს სპეციალურ დაფინანსებას ტრენინგებში, ვორქშოფებსა და სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობისათვის. უნივერსიტეტის წესდების თანახმად, აკადემიურ პერსონალს ენიჭება ექვსთვიანი ანაზღაურებადი სამეცნიერო შვებულების უფლება, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია ხუთ წელიწადში ერთხელ და აღნიშნული მიზნით ბიუჯეტში შესაბამისი ფინანსური რესურსებიც არის გათვალისწინებული. თუმცა, ვიზიტის დროს ჩატარებულმა ინტერვიუებმა აჩვენა, რომ პერსონალი აღნიშნული უფლების შესახებ არასაკმარისად არის ინფორმირებული — შესაბამისი მექანიზმის შესახებ დასმული კითხვები რესპონდენტებმა უფრო შვებულების აღებისა და სამუშაოს ორგანიზებასთან დაკავშირებულ პრაქტიკულ საკითხებად აღიქვეს, ვიდრე ფორმალურად განსაზღვრულ უფლებად. ვინაიდან ამ შესაძლებლობის ეფექტიანი

გამოყენება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია თავად პერსონალის ინიციატივაზე, მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა დამატებითი ღონისძიებები გაატაროს ამ უფლებისა და მისი გამოყენების პროცედურების შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად.

2022 წლიდან სსუ-ში ფუნქციონირებს Horizon Europe-ის საგრანტო ოფისი, რომელიც აკადემიურ პერსონალს საერთაშორისო საგრანტო შესაძლებლობების მოძიებასა და გამოყენებაში ეხმარება, მათ შორის შესაბამისი საგრანტო კონკურსების მოძიების, ელექტრონულ საგრანტო პორტალებზე რეგისტრაციისა და საგრანტო განაცხადების მომზადების მიმართულებით.

სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი კოორდინაციას უწევს და ახორციელებს პერსონალის სამეცნიერო შედეგების მონიტორინგს. უნივერსიტეტის სამეცნიერო პუბლიკაციები რეგისტრირებულია DOI- ის საერთაშორისო ღია ციფრულ რეპოზიტორიაში, რაც ზრდის მათ საერთაშორისო ხილვადობასა და ციტირების შესაძლებლობებს. პერსონალი ფინანსურ მხარდაჭერას იღებს პუბლიკაციების მომზადებისა და გამოქვეყნების, კონფერენციებში მონაწილეობისა და პროექტებში ჩართულობის მიმართულებით.

განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი ყოველწლიურად ატარებს ეროვნულ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციას, რომელიც ეძღვნება საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტებსა და თანამედროვე საგანმანათლებლო პარადიგმებს. ეს კონფერენცია დღემდე ცხრაჯერ ჩატარდა და არაერთ შემთხვევაში მასში საერთაშორისო მონაწილეებიც იყვნენ ჩართულნი. ფაკულტეტმა ასევე უმასპინძლა მნიშვნელოვან საერთაშორისო ღონისძიებებს, მათ შორის ინკლუზიური განათლების საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას (2017 წლის ნოემბერი), რომელშიც მონაწილეობდა ათი ქვეყნის წარმომადგენელი. პერსონალი ყოველწლიურად მონაწილეობს სსუ-ის მეცნიერების საერთაშორისო დღის ღონისძიებებში. სკოლამდელი განათლების პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი აქტიურად მონაწილეობს როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში გამართულ საერთაშორისო კონფერენციებში, აქვეყნებს

ნაშრომებს რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალებსა და მონოგრაფიების სერიებში და ჩართულია მრავალ საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროექტში. ამ აქტივობებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა პროგრამის შინაარსის, პედაგოგიკური მიდგომებისა და შეფასების სისტემების განვითარებასა და დახვეწაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში.
- ინტერვიუების შედეგები
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის რეზიუმეები
- პროგრამის პერსონალის სამეცნიერო შედეგები, მათ შორის რეცენზირებული სტატიები, მონოგრაფიები და ეროვნულ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის მტკიცებულებები
- აკადემიური პერსონალის მიერ კვლევის განხორციელების მონაცემები და გარე შეფასებები
- სამეცნიერო კონფერენციების დოკუმენტები ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე: https://www.sou.edu.ge/content/3/11/147/86/15
- მეცნიერების საერთაშორისო დღის კონფერენციების დოკუმენტაცია ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებსაიტზე: https://www.sou.edu.ge/content/3/11/147/86/50

რეკომენდაციები.

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის

- სასურველია, გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები, რათა აკადემიური პერსონალი სათანადოდ იყოს ინფორმირებული მათთვის კანონმდებლობით განსაზღვრული ანაზღაურებადი სამეცნიერო შვებულების უფლებისა და მისი გამოყენების პროცედურების შესახებ.

შეფასება

კომპონენტი	**შეფასება**

4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ფიზიკური ინფრასტრუქტურა: პროგრამა ხორციელდება თანამედროვე, შესაბამისი დანიშნულების მქონე სასწავლო აუდიტორიებში, რომლებიც ადაპტირებულია ბავშვზე ორიენტირებული პედაგოგიკის სწავლების მოთხოვნების შესაბამისად. უნივერსიტეტი სრულყოფილად არის აღჭურვილი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით. ორივე სასწავლო კორპუსი უზრუნველყოფილია ინტერნეტთან წვდომით. არსებული აღჭურვილობა მოიცავს: კომპიუტერებს, პროექტორებს, ასლგადამღებ აპარატებს, პრინტერებს და სკანერებს. უნივერსიტეტის ორივე კორპუსში სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის ხელმისაწვდომია სამკითხველო დარბაზები და ინტერაქტიული აუდიტორიები. ბიბლიოთეკა მოიცავს სპეციალურად მოწყობილ სამკითხველო სივრცეებს, სტუდენტებისთვის განკუთვნილ კომპიუტერულ ზონებსა და აკადემიური პერსონალისთვის გამოყოფილ სამუშაო სივრცეებს. თუმცა, ამ ეტაპზე არ ფუნქციონირებს ადრეული და სკოლამდელი განათლების სპეციალიზებული სიმულაციური ლაბორატორია, აღჭურვილი ასაკის შესაბამისი სათამაშოებით, დიდაქტიკური მასალებით, საბავშვო ლიტერატურითა და მუსიკალური ინსტრუმენტებით.

ინფორმაციული და ციფრული რესურსები: სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალსათვის ხელმისაწვდომია ელექტრონული ბიბლიოთეკის ციფრული რესურსები. პროგრამა უზრუნველყოფს წვდომას საერთაშორისო აკადემიურ მონაცემთა ბაზებზე, მათ შორის SCOPUS-ზე, რაც სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს საშუალებას აძლევს გაეცნონ ადრეული და სკოლამდელი განათლების სფეროში არსებულ თანამედროვე საერთაშორისო სამეცნიერო მიღწევებს. სილაბუსებით განსაზღვრული ძირითადი სასწავლო ლიტერატურა ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის ფონდებში. ბიბლიოთეკის თანამშრომლები ფლობენ შესაბამის პროფესიულ კომპეტენციებს, აქტიურად მონაწილეობენ პროფესიული განვითარების პროგრამებში და სტუდენტებისთვის ატარებენ საინფორმაციო შეხვედრებსა და ინდივიდუალურ კონსულტაციებს. თუმცა, არ დადასტურდა, რომ უნივერსიტეტის სივრცის გარეთ არსებული ლოკაციებიდან SCOPUS-ის, Thomson Reuters-ისა და EverGreen-ის ელექტრონულ ბაზებზე დისტანციური წვდომა ხელმისაწვდომია.

პრაქტიკული კომპონენტის რესურსები: ადრეული და სკოლამდელი განათლების პროგრამისთვის პარტნიორი საბავშვო ბაღების ქსელი მრავალმხრივ წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვან მატერიალურ რესურსს, რადგან სწორედ ამ გარემოში ყალიბდება პროგრამისთვის დამახასიათებელი ძირითადი პროფესიული კომპეტენციები. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია რეალურ პროფესიულ გარემოში მუშაობის შესაძლებლობა, სადაც ისინი ახორციელებენ 24 ECTS კრედიტის მოცულობის საფეხურებრივ პრაქტიკას, 6 ECTS კრედიტის მოცულობის ქმედებით კვლევას. ორივე წარმოადგენს როგორც ინფრასტრუქტურულ, ისე პედაგოგიკურ რესურსს.

საერთაშორისო პროექტების რესურსები: პროგრამის ჩართულობა Erasmus+, UNICEF- ის, DITECH- ისა და PeaceEdu- ის პროექტებში უზრუნველყოფს დამატებით რესურსებზე, მათ შორის ციფრულ ინსტრუმენტებზე, თანამედროვე მეთოდოლოგიურ ჩარჩოებზე და საერთაშორისო პროფესიულ ქსელებზე წვდომას. ეს შესაძლებლობები პროგრამის რესურსულ ბაზას მნიშვნელოვნად აფართოებს და სცდება მხოლოდ ინსტიტუციური დაფინანსებით უზრუნველყოფილ რესურსებს.

ინტერვიუებმა დაადასტურა დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე გამოვლენილი ფიზიკური და ციფრული რესურსების არსებობა და დამატებით წარმოაჩინა მათი პრაქტიკული გამოყენების თავისებურებები. ექსპერტთა ჯგუფმა დაადასტურა, რომ Stadla LMS- ისა და ელექტრონული საგამოცდო პლატფორმის გამოყენება ყოველდღიური სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და არ წარმოადგენს მხოლოდ ფორმალურად ხელმისაწვდომ რესურსს. პარტნიორი საბავშვო ბაღების ქსელი, რომელიც საბავშვო ბაღების სააგენტოსთან 2024 წლის მაისში გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმით არის დაფუძნებული, ექსპერტთა ჯგუფის ყველა მონაწილემ გამოყო პროგრამის ყველაზე მნიშვნელოვან პრაქტიკულ რესურსად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში.
- ინფრასტრუქტურის შემოწმების შედეგები
- ინტერვიუების შედეგები
- წვდომა საერთაშორისო ელექტრონული ბიბლიოთეკების მონაცემთა ბაზებზე
- ბიბლიოთეკის წიგნების კოლექცია

[რეკომენდაციები](#).

[რჩევები პროგრამის განვითარებისათვის](#)

- სასურველია, უზრუნველყოფილ იქნას გარე წვდომა საერთაშორისო ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებზე (მაგ., SCOPUS, Thomson Reuters და EverGreen), რათა ყველა სტუდენტსა და აკადემიურ პერსონალს თანაბრად მიუწვდებოდეს ხელი აღნიშნულ რესურსებზე.

შეფასება

კომპონენტი	**შეფასება**

4.4 მატერიალური რესურსები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.5 პროგრამის/ ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტის დაფინანსების წყაროებია სწავლის საფასური, ეროვნული და საერთაშორისო ფონდებიდან მიღებული საგანმანათლებლო და კვლევითი გრანტები, სახელმწიფო დაფინანსება და სხვა შემოსავლები, რომლებიც მიიღება დაშვებული ეკონომიკური საქმიანობიდან.

სკოლამდელი აღზრდის საბაკალავრო პროგრამისთვის გამოყოფილი მთლიანი ბიუჯეტი შეადგენს 146,318 ლარს. პროგრამის ბიუჯეტი მოიცავს როგორც პირდაპირ, ისე ირიბ ხარჯებს, მათ შორის სასწავლო რესურსების გაუმჯობესებისთვის გათვალისწინებულ სახსრებს, პერსონალის პროფესიული განვითარების ღონისძიებების დაფინანსებას, სტუდენტური აქტივობების მხარდაჭერას, შრომის ანაზღაურებას (აკადემიური, ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალისთვის), პერსონალის წახალისების ფონდს, სტუდენტთა სტიპენდიებსა და შეღავათებს, შიდა და გარე შეფასებასთან დაკავშირებულ ხარჯებს და სხვა.

პროგრამის ბიუჯეტი მოიცავს სტუდენტების ფინანსურ მხარდაჭერას სამეცნიერო კონფერენციებსა და სხვადასხვა კვლევით საქმიანობაში მონაწილეობის მისაღებად. ბიუჯეტის ანალიზი აჩვენებს, რომ ბიუჯეტის ნაწილი გამოყოფილია სტუდენტების კვლევითი საქმიანობისთვის (3000 ლარი) და კლასგარეშე აქტივობებისთვის (3000 ლარი), ასევე პერსონალის მომზადებასთან, გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასთან და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯებისთვის (6000 ლარი), ქვეყნის შიგნით მივლინებებთან (2000 ლარი) და აღჭურვილობის, ნორმატიული აქტების, სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალებისა და პერიოდული გამოცემების შეძენის ხარჯებზე (4500 ლარი).

პროგრამისთვის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და დიდწილად უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. ბიუჯეტი მოიცავს პროგრამის ფინანსური მხარდაჭერის წყაროებს, როგორც პერიოდულს, ისე ერთჯერადს. ინსტიტუციური ანგარიშები მიუთითებენ, რომ ამ წყაროებიდან მიღებული შემოსავლის საერთო მოცულობა ყოველწლიურად იზრდება. გარდა ამისა, დაწესებულება გამოთქვამს მზადყოფნას, უნივერსიტეტის კონსოლიდირებული ბიუჯეტის მეშვეობით მხარი დაუჭიროს ახლად დანერგილ საგანმანათლებლო პროგრამებს, რაც ახდენს პროგრამის განხორციელებისა და მდგრადობის ფინანსურ შესაძლებლობის დემონსტრირებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში.
- პროგრამის ბიუჯეტი
- ინტერვიუების შედეგები

[რეკომენდაცები](#).

- არ არის მითითებული

[რჩევები პროგრამის განვითარებისათვის](#)

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	**შეფასება**
[4,5. პროგრამის/ფაკულტეტის /სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა.](#)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს,

პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროგრამული დონის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები ორგანიზებულია დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიისა და სწავლების ხარისხის განვითარების შეფასების მექანიზმის შესაბამისად. ხარისხის უზრუნველყოფის შესახებ დებულება ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში ცენტრალიზებულად აყალიბებს უწყვეტი გაუმჯობესების, გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და თანამშრომლობის პრინციპებს. ამიტომ, შიდა ხარისხის უზრუნველყოფა მოიცავს სასწავლო გეგმების, სერვისებისა და რესურსების სისტემურ კვლევებსა და შეფასებებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყურადღებას ამახვილებს სემესტრულ და ყოველწლიურ გამოკითხვებზე; ეფექტური მონიტორინგის შენარჩუნებისა და განვითარების ტენდენციების გამოსავლენად, შეფასების შედეგების გაანალიზების მიზნით, ჩართული ჰყავს ყველა დაინტერესებული მხარე. წარდგენილი დოკუმენტების შეფასებისა და ადგილზე ვიზიტების შედეგების შესაბამისად, პროგრამის შეფასება ტარდება რეგულარულად და შეფასების შედეგები, როგორც წესი, გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა დაფუძნებულია „დაგეგმე- შეასრულე- შეამოწმე- იმოქმედე“ პრინციპზე. პროგრამის შეფასება უზრუნველყოფს პროგრამის პერსონალის ინკლუზიურობას, რომლებიც თანამშრომლობენ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და იზიარებენ პროგრამის სათანადო შიდა ხარისხის შეფასების უზრუნველსაყოფ პრინციპებსა და მექანიზმებს. შექმნილია სკოლამდელი განათლების განვითარების სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, ინდუსტრიის წარმომადგენლებისა და პროგრამის ხელმძღვანელების ჩართულობას. პროგრამამ ისარგებლა საველე ექსპერტების შეფასებებითა და შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შეფასებით. გარდა ამისა, შეფასების გამოკითხვები გამოიყენება შიდა ხარისხის შეფასების პროცესების მიერ

პრობლემების მიზანმიმართულად იდენტიფიცირებისათვის. ეს გამოკითხვები მიზნად ისახავს სტუდენტებისა და პერსონალის საჭიროებების და სურვილების იდენტიფიცირებას, ასევე პროგრამის ადმინისტრირებისა და მომსახურებების ხელმისაწვდომობის შეფასებით ზოგადი კმაყოფილების დადგენას.

დაწესებულება, როგორც წესი, უზრუნველყოფს სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობას შიდა ხარისხის შეფასების პროცესში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, კონსტრუქციული შეფასების პროცესის უზრუნველსაყოფად, თანამშრომლობს და ხელს უწყობს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას; შესაბამისად, პროგრამის თვითშეფასების ანგარიში მზადდება ერთობლივად, განსაკუთრებით აკადემიური, ადმინისტრაციული პერსონალისა და სტუდენტების აქტიური ჩართულობით. მიუხედავად იმისა, რომ საინფორმაციო სესიები, ღია წვდომის რეგულაციები და StudLab- ის მონაცემთა ბაზა ხელს უწყობენ შესაბამისი ინფორმაციის გავრცელებას, როგორც ჩანს, ეს პრაქტიკა სტრუქტურირებული ორიენტაციის ჩარჩოს ნაწილს კი არ წარმოადგენს, არამედ ასრულებს დამხმარე ინსტრუმენტების ფუნქციას. ინფორმირებულობა და ჩართულობა უფრო მეტად დამოკიდებულია არაფორმალურ კომუნიკაციაზე ან ინდივიდუალურ ინიციატივაზე, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის თანმიმდევრულობაზე. დაწესებულებისთვის ხელშემწყობი იქნებოდა სტუდენტებისა და პერსონალისათვის ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ადაპტაციისა და ორიენტაციის პროცესის ფორმალიზება. სტრუქტურირებული საწყისი მექანიზმის შექმნა - რომელსაც მხარს დაუჭერს რეგულარული ტრენინგები ან ციფრული სახელმძღვანელო მასალები - ხელს შეუწყობს ხარისხის კულტურის საერთო გაგების განმტკიცებას, დაინტერესებული მხარეების მიერ შეფასების პროცესებში მათი როლის შესახებ ცნობიერების ამაღლებას და ხარისხის უწყვეტ გაუმჯობესებაში უფრო სისტემატურ მონაწილეობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში.
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- თვითშეფასების ჯგუფის შეხვედრის ოქმები
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- შიდა და გარე შეფასების შედეგები
- გამოკითხვის შედეგები და ფორმები
- ინტერვიუების შედეგები

[რეკომენდაცები](#).

- არ არის მითითებული

[რჩევები პროგრამის განვითარებისათვის](#)

- სასურველია დაწესებულებამ სტუდენტებისა და პერსონალის ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ადაპტაციისა და ორიენტაციის პროცესი ფორმალურად განსაზღვროს სტრუქტურირებული საწყისი მექანიზმის შემუშავების გზით, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ხარისხის კულტურის უკეთ გააზრებას, შეფასების პროცესებში დაინტერესებული მხარეების როლის შესახებ ცნობიერების ამაღლებასა და ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების პროცესებში უფრო სისტემურ ჩართულობას.

შეფასება

კომპონენტი	**შეფასება**
[5.1 შიდა ხარისხის შეფასება](#)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსუ-ში გარე ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესების საშუალებით, რაც უზრუნველყოფილია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. დაწესებულება, როგორც წესი, განიხილავს რეკომენდაციებსა და რჩევებს და დასკვნებს აცნობს პროგრამის პერსონალს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და მენეჯმენტი უზრუნველყოფს გატარებული ღონისძიებების შესაბამისობას მიღებულ რეკომენდაციებთან. სკოლამდელი აღზრდის

საბაკალავრო პროგრამა ახალია, თუმცა, პროგრამის გუნდი მზადყოფნას გამოთქვამს უწყვეტი გაუმჯობესებისა და შემდგომი განვითარების პერსპექტივებთან დაკავშირებული რეკომენდაციების განხილვისადმი.

დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამებს პერიოდულად აფასებენ გარე ექსპერტები. სკოლამდელი აღზრდის პროგრამა შემუშავდა ადგილობრივი ექსპერტების გამოცდილებისა და პოზიციების აქტიური გათვალისწინებით, რითაც უზრუნველყოფილი იქნა მიზნობრივი ნიშნულების მოთხოვნებთან შესაბამისობა. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დარგის ექსპერტმა დადებითად შეაფასა პროგრამა, ასევე ხაზი გაუსვა მის ძლიერ მხარეებსა და მნიშვნელობას კვალიფიციური პროფესიონალების მომზადების საქმეში, პროგრამის სტრუქტურასა და შინაარსს, თეორიასა და პრაქტიკას შორის ბალანსს, სხვადასხვა საერთაშორისო პროექტთან (DITECH, PeaceEdu) დაკავშირებულ კურსებს, ადამიანურ რესურსებს, სწავლა-სწავლების მეთოდებს. პროგრამის გუნდმა პროგრამის თვითშეფასებაზე მუშაობისას ასევე გაითვალისწინა ექსპერტის მიერ გაცემული რეკომენდაციები, კერძოდ პარტნიორობის განვითარებასა და ციფრული პედაგოგიკის ინტეგრაციასთან დაკავშირებული რეკომენდაციები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში.
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- თვითშეფასების ჯგუფის შეხვედრის ოქმები
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- შიდა და გარე შეფასების შედეგები
- ინტერვიუების შედეგები

[რეკომენდაცები](#).

- არ არის მითითებული

[რჩევები პროგრამის განვითარებისათვის](#)

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შეფასება
5,2. გარე ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული გადახედვა

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის განვითარებისა და სერვისის გაუმჯობესებისთვის, სსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს უწყვეტ მონიტორინგსა და პერიოდულ შეფასებას. შეფასების პროცესი მოიცავს შიდა და გარე აქტორებს. აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებელთა გამოკითხვა წარმოადგენს პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული გადახედვის მთავარ ინსტრუმენტს. ყოველი სავალდებულო კურსის ბოლოს, სტუდენტები აფასებენ კურსს, კურსის შეფასების ფორმის შევსებით.

შეფასების გამოკითხვები გამოიყენება გასაუმჯობესებელი სფეროებისა და პრიორიტეტების დასადგენად, ეფექტური მონიტორინგის პროცესის უზრუნველსაყოფად. შრომის ბაზრის ანალიზი წარმოადგენს პროგრამის დაგეგმვისა და მონიტორინგის განუყოფელ ნაწილს. შეფასების პროცესის შედეგები ვრცელდება დაინტერესებულ მხარეებში და გამოიყენება პროგრამის გაუმჯობესებისათვის. პროგრამის შემუშავების ჯგუფი და ფაკულტეტის საბჭო პასუხისმგებელნი არიან პროგრამის შინაარსზე და ასახავენ დარგის მიმდინარე მიღწევებსა და ტენდენციებს პროგრამაში. ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი რეგულარულად ამოწმებს სტუდენტების აკადემიურ მოსწრებას სემესტრის განმავლობაში, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო ეფექტურობის მონიტორინგის ზოგად მექანიზმს. პროგრამას თან ერთვის სწავლის შედეგების შეფასების რუკა, რომელიც განსაზღვრავს გაუსის განაწილებას და ადგენს შესაბამის მიზნობრივ ნიშნულებს პერიოდულობითა და პასუხისმგებელი პირებით.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ძირითად საფუძვლად გაუსის (ნორმალური) განაწილების გამოყენებამ შესაძლოა ვერ უზრუნველყოს სტუდენტების მიერ განზრახული კომპეტენციების რეალური მიღწევის საკმარისად ზუსტი საზომი. ქულების განაწილება ასახავს კონკრეტულ კურსში შედარებით მოსწრებას და მიუხედავად იმისა, რომ კურსის სწავლის შედეგები დაკავშირებულია პროგრამის დონის სწავლის შედეგებთან, ეს სულაც არ მიუთითებს იმაზე, ნამდვილად მიაღწიეს თუ არა სტუდენტებმა პროგრამის დონეზე მოსალოდნელ ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს. პროგრამის სწავლის შედეგები უნდა შეფასდეს პირდაპირი, კრიტერიუმებზე დაფუძნებული შეფასების მეთოდებით, რომელიც ზომავს მოსწრებას მკაფიოდ განსაზღვრული და გაზომვადი ინდიკატორების მიხედვით და ეს არის შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე პროგრამის მოდიფიცირებისა და განვითარების აუცილებელი კომპონენტი.

დაწესებულებაში მოქმედებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პერიოდული შეფასების პრაქტიკა, რომელიც სასწავლო პროცესზე წინასწარ დაგეგმილ დაკვირვებას ეფუძნება. სასწავლო პროცესზე დაკვირვებას ახორციელებენ იმავე ან სხვა საგანმანათლებლო პროგრამის წარმომადგენელი კოლეგები, ასევე ფაკულტეტისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები. შეფასების მიზანია გამოცდილების გაზიარების პლატფორმის შექმნა, ჩატარებული ლექციების ხარისხზე, სასწავლო გეგმებთან შესაბამისობაზე, წინასწარ განსაზღვრული სწავლება- სწავლის მეთოდებზე დაკვირვება, განვითარების ტენდენციების გამოკვეთა და შესაბამისი აქტივობების უზრუნველყოფა.

დაწესებულება უზრუნველყოფს ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის შედარებას. პროგრამის შემმუშავებელმა ჯგუფმა შეაფასა რამდენიმე მსგავსი პროგრამა, რომლებიც შემოთავაზებულია როგორც საქართველოს, ასევე საერთაშორისო უნივერსიტეტებში - მათ შორის: შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში (საქართველო), აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში (საქართველო), შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტში (საქართველო), ტალინის უნივერსიტეტში (ესტონეთი), ბარსელონას უნივერსიტეტში (ესპანეთი). მიმოხილვამ გამოავლინა რამდენიმე საერთო მახასიათებელი, ასევე განვითარების მრავალი შესაძლებლობა, რასაც დადებითი ზემოქმედება ქონდა პროგრამის შემუშავებაზე. პროგრამა ითვალისწინებს სკოლამდელი განათლების როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივ მოთხოვნებსა და პრაქტიკას, ხოლო სამიზნე ნიშნულების ანალიზი აჩვენებს, რომ შესადარებელი პროგრამები სტრუქტურის, შინაარსისა და აქტუალობის თვალსაზრისით ავლენენ 80%-ზე მეტ თავსებადობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში.
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- თვითშეფასების ჯგუფის შეხვედრის ოქმები
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- შიდა და გარე შეფასების შედეგები
- ანალოგურ პროგრამებთან შედარება
- გამოკითხვის შედეგები და ფორმები
- ინტერვიუების შედეგები

[რეკომენდაცები](#).

- რეკომენდებულია პროგრამისთვის სპეციფიკური სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა და პროგრამის დონეზე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გაძლიერება პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის სისტემური შეფასების, პროგრამის ეფექტიანობის ანალიზისა და შეფასების შედეგების საფუძველზე შესაბამისი ცვლილებების განხორციელების გზით, რაც პროგრამის უწყვეტ გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს.

[რჩევები პროგრამის განვითარებისათვის](#)

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	**შეფასება**
[5,3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული გადახედვა](#)	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან